# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 219 (6076)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## „2009 წელს საქართველოს ახალი მთავრობა ეყოლება“ 2-3



## იდიოტების ქვეყანა თუ ძეგლებთან ომი? 4



## ზომიერების დაცვა ყოველთვის საჭიროა 7



## კახა გოგოლაშვილი: სოხუმის წინადადება თბილისისთვის აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შეთავაზების შეფარული ფორმაა 3

## ომმა ინვესტორები მოგვიმრავლა? 6

## კავკასიურ კონფლიქტში არავინ არის მართალი 8



BBC RUSSIAN.com

## ვისთან შედის წილი შსს-ში? 11



ნომრის კარიკატურა



ინფორმაცია

## დიალოგი უნდა გაგრძელდეს



**ჟენევაში, კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი პირველ შეფასებებს აკეთებს.**

სახელმწიფო მდივნის მოადგილის დენიელ ფრიდის განცხადებით, მოლაპარაკებები კონსტრუქციული და დინამიური იყო. მისი თქმით, აშშ-ს პოზიცია, რომელიც კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო პოლიციური ძალების განთავსებას ითვალისწინებს, დიალოგის ყველა მონაწილემ არ გაიზიარა, თუმცა სიტუაციის პროვოცირებას შეხვედრის არც ერთი მხარე არ ცდილობდა. ფრიდის შეფასებით, საქართველოში მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია, ამიტომაც დიალოგის გაგრძელება აუცილებელია.



დისკუსიის დაწყებას მნიშვნელოვანს უწოდებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი შონ მაკკორმაკიც.

## რუსები და აფხაზები პროვოკაციისთვის ემზადებიან

**რუსული და აფხაზური მხარეები გალის რაიონში ახალი პროვოკაციისთვის ემზადებიან. ამის შესახებ გალის რაიონიდან ინფორმირებული წყარო იტყობინება.**

— მოსახლეობა შიშობს, რომ რუსები და აფხაზები ახალი პროვოკაციებისთვის ემზადებიან, რამდენადაც ისინი პრეტენზიას უკვე ზუგდიდის რაიონზეც აცხადებენ. სოფელ ნაბაკევში ძალიან დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და საბრძოლო მასალაა შეტანილი, ფიჩორისკენ კი დღეს 5 ბენზინმზიდით საწვავიც შეიტანეს, — განაცხადა წყარომ.

მისი თქმით, სოფელ პირველ ოტობაიასა და ფიჩორში მდგარი რუსი სამხედროები უკვე ფიჩორის ბაზაში გადაჰყავთ, სადაც ასევე დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკაა მობილიზებული.

## ცხინვალი ევროკავშირს ადანაშაულებს

**კავკასიის უსაფრთხოების საკითხზე ჟენევაში 17-18 დეკემბრისთვის დაგეგმილ დისკუსიაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთი ქართულ მხარეს ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების ხელმოწერას მოსთხოვს. როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, ამის შესახებ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა განაცხადა.**

— პირველ რიგში დავაყენებთ საკითხს, რომ შუამავლებმა ქართულ მხარეზე მოახდინონ ზეწოლა, რათა ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერონ ხელი. ასევე, მოვითხოვთ, განხორციელდეს მონიტორინგი სამხრეთ ოსეთის გარშემო განთავსებულ შეიარაღებულ ძალებზე, — განაცხადა ჯიოევმა.

მისი თქმით, საქართველო არა მხოლოდ საომარ რიტორიკას აგრძელებს, არამედ ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარშემო შეიარაღებულ ძალებს აძლიერებს.

— დასავლეთის ბევრი ქვეყანა საქართველოს იარაღით მომარაგებას აგრძელებს, — განაცხადა ჯიოევმა. მისი განცხადებით, ევროკავშირის დამკვირვებლები თავს ვერართმევენ ვალდებულებებს, რომლებიც სარკოზი-მედვედევის გეგმის შესაბამისად აიღეს.

## ქართულ ბლოკ-პოსტს ცეცხლი გაუხსნეს

**გუშინ კვლავ განახლდა სროლები ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის მიმართულებით.**

**აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ოტობაიას მხრიდან ქართველი სამართალდამცავების ბლოკ-პოსტებს გაუხსნეს ცეცხლი.**

იმ დროისთვის სოფელში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანამშრომლები იმყოფებოდნენ, რომლებმაც ცეცხლის განახლების ფაქტი დააფიქსირეს.

როგორც მოსახლეობა აცხადებს, სროლების განახლება მოჰყვა იმ ფაქტს, რომ გუშინ, დილის



07.00 საათზე სოფელ ოტობაიადან დაწყებული ინტენსიური სროლების საპასუხოდ გახსნილი ცეცხლის დროს ერთი აფხაზი ბოევიკი დაიჭრა.

* * *

**აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან რუსული სამხედრო ვერტმფრენები სადაზვერვო სამუშაოებს აწარმოებენ.**

ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრიდან იტყობინებიან.

გალის რაიონის მოსახლეობის ინფორმაციით, გუშინ დილით დაბალი ზონის სოფლებში 100 აფხაზი ბოევიკი შეიყვანეს.

გალის რაიონის დაბალი ზონის მოსახლეობა პანიკაშია და კონფლიქტის ზონაში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის შესვლას ითხოვს.

SIC!

## შეცდომისთვის ბოდიში მოუხადეს

2008 წლის 15 ნოემბერს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა განცხადება „EuroNews“-ის რუსულენოვან არხზე მისი ინტერვიუს არასწორ თარგმანთან და დამახინჯებასთან დაკავშირებით. იგი გავრცელდა მასმედიით, აგრეთვე გამგზავნა „EuroNews“ რედაქციას. 19 ნოემბერს ბატონმა ედუარდმა მიიღო „EuroNews“-ის მთავარი რედაქტორის გარდენია ტრეზინის წერილი, სადაც ის ბოდიშს უხდის ინტერვიუს რუსულ ვერსიაში დაშვებული შეცდომების გამო.

გთავაზობთ ამ წერილს.

**ბატონო შევარდნაძე!**

**უპირველეს ყოვლისა, მსურს პირადად მოგიხადოთ ბოდიში ჩემი და ჩვენი ჟურნალისტების სახელით იმ ინციდენტის გამო, რომელიც „ევრონიუსის“ რუსული ვერსიისთვის თქვენ მიერ მიცემული ინტერვიუს დროს მოხდა.**

**მესმის, რომ თქვენი უკმაყოფილება ინტერვიუს რუსულად თარგმანის დროს დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია. მინდა დაგარწმუნოთ: ჩვენი შეცდომების გამოსასწორებლად და იმისთვის, რომ მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს, შესაბამისი ზომები უკვე მივიღეთ.**

**მერწმუნეთ, ამგვარ შეცდომებს უდიდესი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ვუდგებით, რადგან მათ შეუძლიათ საფრთხეში ჩააგდონ ჩვენი რეპუტაცია, სარედაქციო პატიოსნება. ეს კი „ევრონიუსის“ საქმიანობის საფუძველია.**

**როგორც კი არასწორი თარგმანის შესახებ შევიტყვეთ, ინტერვიუს რუსული ვერსია ჩვენი ვებსაიტიდან მოვხსენით. მას შევასწორებთ, სწორ ვერსიას ვებსაიტზე** www. EuroNews. net **განვათავსებთ და მივუთითებთ, რომ წინა ვერსია არასწორი იყო.**

**ბატონო შევარდნაძე, კიდევ ერთხელ გულწრფელად გიხდით ბოდიშს ამ დასანანი შეცდომის გამო და თუ კვლავ დაგებადათ კითხვები, მზად ვართ გიპასუხოთ.**

პატივისცემით
**გარდენია ტრეზინი,**
მთავარი რედაქტორი.
2008 წლის 18 ნოემბერი.

მხარდაჭერა

## ვაშინგტონი საქართველოს მხარს უჭერს



**ვაშინგტონმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა. ბუშის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გორდონ ჯონდრომ განაცხადა, რომ ქართულ-რუსულ ომთან დაკავშირებით ვაშინგტონის პოზიცია უცვლელია.**

— ჩვენ საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის მუშაობას მივესალმებით და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, — განაცხადა ჯონდრომ.

თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე გორდონ ჯონდრომ ჟურნალისტებს შეატყობინა, რომ აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების, ჯორჯ ბუშის და დიმიტრი მედვედევის შეხვედრაზე, რომელიც პერუში, აზია-წყნარი ოკეანის სამიტის ფარგლებში იგეგმება, სავარაუდოდ, საქართველოს საკითხსაც განიხილავენ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

რადიკალური ოპოზიცია

# დავით უსუფაშვილი: 2009 წელს საქართველოს

**აგვისტოს მოვლენების შემდეგ არასაპარლამენტო ოპოზიცია, ხელისუფლებასთან მორატორიუმის მოხსნისთანავე, მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო მოღვაწეობის აღსასრულის მოახლოებაზე ინტენსიურად ალაპარაკდა და დასახელდა ვადაც, რომლის ფარგლებშიც ამის განხორციელებას უნდა ველოდოთ. მართალია ხელისუფლებას ამაზე, როგორც ყოველთვის, ყურიც არ შეუბერტყავს, მაგრამ თავის მხრივ არც ოპოზიციას გადაუდგამს მომდევნო ნაბიჯი და, საბოლოოდ, ორივე მხარე მამა აბრამის ბატკანივით დადუმდა, რაც ბუნებრივია, ბადებს კითხვებს: ნუთუ ოპოზიცია საკუთარი „წინასწარმეტყველების“ აღსრულების მოლოდინში გულხელდაკრეფილი დააკვირდება მოვლენათა განვითარებას? ნუთუ, ჰგონიათ, რომ ხელისუფლება თავისთავად შეიცვლება? ან იქნებ დუმილიც ერთგვარი სტრატეგიაა, რომელსაც ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარება ითხოვს? ამ და სხვა საკითხებზე რესპუბლიკური პარტიის ლიდერს დავით უსუფაშვილს ვესაუბრეთ.**



**— ბატონო დავით, სამაჩაბლოს მოვლენების შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა იმის მოლოდინი, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლების შესაცვლელად რაიმე კონკრეტულ ქმედებებს განახორციელებდა, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა, ოპოზიცია საეჭვოდ დუმს. რაშია საქმე, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მთავრობის შეცვლა მხოლოდ დროის საკითხია?**

— ხელისუფლება, დღევანდელიც და მომავალიც, იმისთვის გვჭირდება, რომ ქვეყანას უპატრონოს, მოერგოს საზოგადოების დაკვეთას და არა თვითონ მოირგოს ყველაფერი...

აგვისტოს შემდეგ ქვეყანა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. მსგავსი რამ, დამოუკიდებლობის წლებში, საქართველოს არ განუცდია და ყველა პოლიტიკური ნაბიჯი სწორედ ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ. შარშან, ნოემბერში, ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო და პრობლემას მხოლოდ არსებული ხელისუფლება წარმოადგენდა, დღესდღეობით კი, რუსეთის სახით, გაცილებით უფრო დიდ სირთულესთან გვაქვს საქმე და სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართ, თუ საერთაშორისო საზოგადოებრიობა ხელს ჩაიქნევს საქართველოზე, როგორც სახელმწიფოებრიობის უნარის მქონე ქვეყანაზე.

...ჩვენ არ გვინდა ხელისუფლება, რომელიც გააკონტროლებს მხოლოდ რუსთაველის პროსპექტს და სხვა დანარჩენი ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივას დაგვიკარგავს, არ გვინდა ხელისუფლება, რომელიც უძლურია პრობლემების წინაშე, ვინაიდან ამ ეტაპზე საქართველოს სუვერენიტეტი გახლეჩილია ორ ნაწილად: ერთი მიიტაცა რუსეთმა, მეორე კი მიმოფანტულია ევროპის ქვეყნებში. ეს ნიშნავს, რომ დღეს ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი მოქმედების ძალიან მცირე არეალი...

რაც შეეხება ხელისუფლების შეცვლას, ეს პროცესი რომ აქტიურად დაიწყოს, უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოვლენათა სწორად განვითარებას. უწინარესად ეს ეხება სამართლიანი არჩევნების გარანტიის შექმნას და კიდევ სხვა მრავალ საკვანძო საკითხებს, რომელთა გაუთვალისწინებლობამ ქვეყანა შეიძლება უმძიმეს ვითარებაში ჩააგდოს. ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, ჯერ საფუძველი უნდა მომზადდეს და კონკრეტული ნაბიჯები სწორედ მერე უნდა გადაიდგას.

რესპუბლიკურმა პარტიამ უკვე ჩამოაყალიბა ხედვა ამის თაობაზე და ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ხელისუფლებას ჯეროვან ოპონირებას ვერ ვუწევთ...

...დარწმუნებული ვარ, დეკემბრის შუა რიცხვებისთვის გამოიკვეთებიან გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც უფრო ეფექტიანად წარმართავენ საქმიანობას, თუმცა არსებობს

ინფორმაცია

## განმუხურისა და ანაკლიის სკოლებში სწავლა შეწყდა

ზუგდიდის რაიონის სოფლების განმუხურისა და ანაკლიის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი დროებით შეჩერდა.

ამის შესახებ საგანგებო განცხადებას განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

რაიონში მდგომარეობა უკიდურესად მას შემდეგ გამწვავდა, რაც რუსი ოკუპანტებისა და აფხაზი სეპარატისტების მხრიდან ინტენსიური სროლა დაიწყო. ამის შედეგად, მოსახლეობა შეშინებულია, თავს არიდებს გადაადგილებას და სახლებიდან გამოსვლას.

განმუხურის სკოლაში 260, ხოლო ანაკლიის სკოლაში 280 მოსწავლე სწავლობს.

სკოლებში სწავლის იძულებით შეწყვეტის შესახებ განცხადება უკვე გააკეთა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ნოდიამ.

## იზრდება სკოლების დაფინანსება

მომავალი წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება 30 000.0 ათასი ლარით იზრდება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილმა რეგიონალური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას განაცხადა.

მისი თქმით, ვაუჩერების თანხის გაზრდა შესაძლებლობას იძლევა, რომ მომავალი წლიდან პედაგოგების ხელფასებიც გაიზარდოს.

კერძოდ, 1 იანვრიდან მასწავლებელთა საბაზისო ხელფასი 25 ლარით, ხოლო 1 სექტემბრიდან კიდევ დამატებით 25 ლარით გაიზრდება.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# კახა გოგოლაშვილი: სოხუმის წინადადება თბილისისთვის აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შეთავაზების შეფარული ფორმაა



***გაეროს ეგიდით, აფხაზეთზე საერთაშორისო მეურვეობის დაწესების შესაძლებლობაზე, რის შესახებაც ვრცელი მასალა ამერიკულ ჟურნალ The Wall Street Journal-ში პოლიტოლოგებმა ალექსანდრე ქულმა და ბორუტ გრჟიჩმა წარმოადგინეს, ასევე ჟენევაში აფხაზური მხარის წინადადებებზე და ქართული პოლიტიკური წრეების რუს კოლეგებთან დიალოგის აღდგენის ფორმებსა და სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორს კახა გოგოლაშვილს ესაუბრა.***

**— ბატონო კახა, რამდენად რეალიზებადია ალექსანდრ ქულისა და ბორუტ გრჟიჩის პროექტი აფხაზეთზე გაეროს ეგიდით საერთაშორისო მეურვეობის დაწესების შესახებ, რომლის ვრცელი ვერსია ამერიკულ ჟურნალ The Wall Street Journal -ში დაიბეჭდა?**

— მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ანექსია მოახდინა, აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ახლა ამ ტერიტორიებზე თავისი სამხედრო ბაზების განლაგებას აპირებს, ამ პროექტის რეალიზება არარეალურია. ძნელი წარმოსადგენია, რომ რუსეთი ამ პროექტის განხორციელებაზე დათანხმდეს, ვინაიდან ის ახლა ამ რეგიონებს რეალურად აკონტროლებს და არ მოისურვებს აფხაზეთში მართვის რეალური სადავეების გაეროსათვის გადაცემას. იგივე პოზიცია ექნება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, რომელიც გრძნობს, რომ აქვს დიდი ძალა, ვინაიდან მას ზურგს რუსეთი უმაგრებს, თავისუფალია გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ ვითარებაში ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინიც ნებაყოფლობით დათანხმდნენ თავისი გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფლების შეზღუდვაში და გაეროს ადმინისტრაციის ქვეშ მოქცევაში.

რაც შეეხება ჩვენს მხარეს, შესაძლებელია ქულისა და გრჟიჩის პროექტი საინტერესო იყოს, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ არის ნათქვამი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე – დევნილთა დაბრუნებაზე. არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, ვინ უნდა მართოს დევნილთა დაბრუნების საკითხი და ვინ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას. ლაპარაკია, რომ პოლიციური ძალები იქნებიან ეუთოს მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ აქვე ლაპარაკია იმაზე, რომ აფხაზურ მხარეს ეყოლება უსაფრთხოების სამსახურები, პოლიცია და ასე შემდეგ. თუ დევნილთა დაბრუნების უსაფრთხოების გარანტორი აფხაზური სამართალდამცავი ორგანოები იქნებიან, საკითხავია, რამდენად შეძლებენ ისინი ამ მოვალეობის შესრულებას. ეს ის საკითხებია, რომელიც ზედმიწევნით კარგად უნდა იყოს გაწერილი.



საერთაშორისო მმართველობის შემოღების პირობებში უფრო ნათლად უნდა იყოს გააზრებული დევნილთა დაბრუნების პროცესი და მათი უსაფრთხოების საკითხები, შემდგომ – დემოკრატიული უფლებების განხორციელება და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. ყველა დევნილს უნდა ჰქონდეს დაბრუნების უფლება. დღეს აფხაზეთს უმცირესობაში მყოფი აფხაზური ეთნოკრატია მართავს, აფხაზურ პარლამენტში თითქმის მხოლოდ აფხაზები არიან, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ასეთივე მდგომარეობაა და აფხაზეთს აფხაზური ეთნოკრატია აკონტროლებს. შესაძლებელია თუ არა მმართველობის ორგანოებში აფხაზეთში მცხოვრები ყველა მცხოვრების მონაწილეობა. ამ საკითხებს სერიოზული დამუშავება სჭირდება. თუ ქულისა და გრჟიჩის იდეას მხარს რუსული მხარე დაუჭერს, მის ირგვლივ საუბარი და ბჭობა შესაძლებელია.

**— ქულისა და გრჟიჩის პროექტის ამერიკულ ჟურნალში გამოჩენა უცნაურად დაემთხვა აშშ-ს სახელმწიფო მდივნობის ერთ-ერთ კანდიდატად რიჩარდ ჰოლბრუკის დასახელებას, რომელიც კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში ბალკანეთში, ბოსნიასა და კოსოვოში განხორციელებული პოლიტიკის ავტორად ითვლება. როგორი შესწორებების შეტანაც არ უნდა მოხერხდეს ქულისა და გრჟიჩის პროექტში, ხომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ აფხაზეთის შემთხვევაშიც კოსოვოს პრეცედენტის განმეორება გახდეს შესაძლებელი.**

— აფხაზეთში საერთაშორისო მმართველობის იდეა ახალი არ არის, მასზე წინა წლებშიც ხშირად იყო საუბარი, ამიტომ ამ იდეის რიჩარდ ჰოლბრუკის აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე სავარაუდო დანიშვნას ვერ დავუკავშირებ.

ჩემი აზრით, ჩვენ არ უნდა მოვახდინოთ ბალკანეთსა და აფხაზეთში განვითარებულ პროცესებს შორის პარალელების გავლება. კოსოვო სერბეთს კი გამოეყო, მაგრამ იქ სერბებმა კოსოვოელების წინააღმდეგ განახორციელეს ეთნიკური წმენდა, აფხაზეთში კი ყველაფერი პირიქით მოხდა, ეთნიკურმა უმცირესობამ მოსახლეობის უმრავლესობის, ამ შემთხვევაში ქართველების ეთნიკური წმენდა მოახდინა და ახლა მართავენ აფხაზეთს. შეუძლებელია, რომ აფხაზეთში საერთაშორისო მმართველობის იდეის განხორციელებამ იგივე შედეგი გამოიღოს, როგორც ეს კოსოვოში მოხდა. თუ, რა თქმა უნდა, საუბარი იქნება დევნილების დაბრუნებაზე და აფხაზეთში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე.

ამ იდეაში საკმაოდ ბევრი დადებითი არგუმენტია საიმისოდ, რომ ჩვენ მის განხორციელებას დავეთანხმოთ, მაგრამ მხოლოდ შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ.

იხ. 4 გვ.

რადიკალური ოპოზიცია

# ახალი მთავრობა ეყოლება



უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი, თუნდაც ის, რომ ოპოზიციონერი ლიდერები ვერ ახერხებენ ერთად ყოფნას და ყველა ცდილობს ასპარეზზე საკუთარი პარტიით გამოვიდეს.

ჩვენ, რესპუბლიკელები, სხვა გზით მივდივართ, ჩვენი პარტიის მთავარი ორიენტირი ჩამოყალიბებულ, სტრუქტურირებულ და მეტი პასუხისმგებლობის მქონე ძალებთან თანამშრომლობაა. დარწმუნებული ვარ, ამ გზით 2009 წელს საქართველოს ახალი მთავრობა ეყოლება.

**— ანუ...**

— ანუ 2010 წლის დადგომამდე ეს ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება, თუმცა უფრო კონკრეტულ თარიღს ვერ დაგისახელებთ.

**— კი მაგრამ, თუ ამ ხელისუფლებას მხოლოდ ერთი წლის „ვადა“ დარჩა, არ უნდა იგრძნობოდეს, რომ მოვლენები პიკს უახლოვდება?**

— თუ იმას გულისხმობთ, რომ რუსთაველის პროსპექტზე მრავალათასიანი მიტინგები უნდა იმართებოდეს, მერწმუნეთ, ეს მცდარი მიდგომაა. პიკი იქნება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები, სადაც ხალხი თავის არჩევანს გამოხატავს.

**— კონკრეტულად, როგორ წარმოგიდგენიათ ხელისუფლების შეცვლის პროცესი?**

— ამისთვის აუცილებელია ორი ფაქტორის თანაარსებობა: უნდა იყოს ალტერნატიული პოლიტიკური ძალა საკმარისი ჭკუითა და ძალით, ვინაიდან მარტო გონიერება ან მარტო ძალა არაფერს არ წყვეტს...

**— თქვენ თქვით, რომ ხალხი ხელისუფლებას არ ენდობა. რამდენად იმსახურებს საზოგადოების ნდობას ოპოზიცია?**

— დღესდღეობით საქართველოში რამდენიმე ათეული ოპოზიციური პარტია არსებობს და ყველაზე ერთ ჭრილში ვერ ვისაუბრებთ. არიან პარტიები, რომელთა მიმართ საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი ხელისუფლებისადმი ნდობის მაჩვენებელზე დაბალია და პირიქით...

**— რაც შეეხება გაერთიანებულ ოპოზიციას, თავიდან ეს გაერთიანება თითქოს მყარი სუბიექტის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ შექმნიდან სულ რამდენიმე თვეში რღვევა დაიწყო. როგორ ფიქრობთ, უფრო ეფექტიანი არ იქნებოდა ოპოზიციური პარტიები ერთად ყოფილიყვნენ არსებული პრობლემის წინაშე?**

— ეროვნული საბჭო არ შექმნილა, როგორც საარჩევნო გაერთიანება, ის შეიქმნა იმ მიზნით, რომ მიგვეღწია არჩევნებისთვის, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ზოგმა ლიდერმა ამბიციები ვერ მოთოკა და გააკეთა ისეთი განცხადებები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ეროვნული საბჭოს დაშლა. ეს ეხება იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც დაიჩემეს, რომ ოპოზიცია ვერ გახდა ერთიანი...

**— რესპუბლიკურმა პარტიამ რა მიზეზით დატოვა გაერთიანება?**

— ამის თაობაზე ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ – ზოგ ლიდერს გაუჩნდა გარკვეული ამბიციები და რაც ყველაზე ცუდია, მათ ვერ შეიკავეს ეს ამბიციები. ამას გარდა, ძირითადი საკვანძო საკითხების გარშემო ჩვენი ხედვა არ ემთხვეოდა ეროვნულ საბჭოში შემავალი სუბიექტების ხედვას და ასეთ ვითარებაში, უბრალოდ, ვერ გავაგრძელებდით მათთან თანამშრომლობას...

**— დღესდღეობით რომელ პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობთ?**

— ამჟამად კონსულტაციებს ვმართავთ ახალ მემარჯვენეებთან და ალბათ დეკემბრის შუა რიცხვებისთვის გადავწყვეტთ, მოვახერხებთ თუ არა უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

განსჯა

# კახა გოგოლაშვილი: სოხუმის წინადადება თბილისისთვის აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შეთავაზების შეფარული ფორმაა

(მესამე გვერდიდან)

**— ქართული მხარე კი აყენებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ევროკავშირისა და ეუთოს მონაწილეობით სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების საკითხს, მაგრამ, თქვენი აზრით, ამ მოთხოვნაზე რუსეთი არასოდეს დათანხმდება?**

— ჩემი აზრით, ამ იდეის რეალიზაციას პრობლემებს შეუქმნის. რუსეთმა მათი დამოუკიდებლობა აღიარა და მათი უსაფრთხოების გარანტორად გამოდის, სრულად აკონტროლებს ამ ტერიტორიებს და საერთაშორისო თანამეგობრობას ეუბნება, რომ მას ამ რეგიონებში არაფერი ესაქმება. ქულისა და გრჟიჩის პროექტი რუსეთს აფხაზეთში პოზიციებს აკარგვინებს და ამაზე მოსკოვი რომ არ წავა, გასაკვირი არ უნდა იყოს.




**— ჟენევაში აფხაზურმა დელეგაციამ დევნილთა დაბრუნების თავისი გეგმა წარადგინა. სოხუმი დაბრუნებული დევნილებისაგან აფხაზეთის მოქალაქეობის აღიარებას მოითხოვს. რამდენად მისაღები შეიძლება იყოს აფხაზური მხარის მოთხოვნა.**

— ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე პირობაა. თუ საქართველო დათანხმდება ასეთ გარიგებაზე, მაშინ ის პრაქტიკულად ცნობს აფხაზურ სახელმწიფოს. თუ ცნობ რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობის არსებობას, მაშინ იმასაც აღიარებ, რომ ეს სახელმწიფო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მე მგონია, რომ ფანდი სწორედ ამაშია ჩადებული. ეს წმინდა ინსტიტუციონალური ხრიკია. აფხაზური მხარე შეეცდება ქართული მხარე ამ შეთავაზებაზე დათანხმდეს. უარის თქმის შემთხვევაშიც მათ საშუალება ექნებათ თქვან, რომ სოხუმის მცდელობის მიუხედავად ქართული მხარე დევნილთა დაბრუნებას აფერხებს. ჩემი აზრით, ამ წინადადებაში ამ დონის ინსინუაციებს აქვს ადგილი.

მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ, დევნილთა დაბრუნებაზე საუბარი შეუძლებელია. დევნილთა დაბრუნება მათი მოვალეობაა და დევნილთა დაბრუნება ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა განხორციელდეს. დევნილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით ერთადერთი საკითხი, რომელიც შესაძლებელია იქნას განხილული, ეს მათი დაბრუნების უსაფრთხოების საკითხებია. ნებისმიერი სხვა საკითხი, რომ დაბრუნებულებმა აფხაზურ დროშას აკოცონ, აფხაზურ კონსტიტუციაზე ფიცი დადონ, საქართველოს პასპორტი საჯაროდ დახიონ და თან ისე, რომ ეს გეგმა მათ საქართველოს მთავრობამ მოუწონოს, ეს წინადადება ცინიკურის გარდა ქართული მხარისათვის აბსოლიტურად მიუღებელია. აფხაზური მხარის წინადადება, აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ დევნილთა დაბრუნების შესახებ, სოხუმის მხრიდან თბილისისათვის აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შეთავაზების შეფარული ფორმაა.

**— ლეიბორისტების ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ მისი პარტია რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან იწყებს ურთიერთობების მოწესრიგებასა და დიალოგს. იმ ვითარებაში, რომელშიც ახლა ქართულ-რუსული ურთიერთობებია, რა ფორმით შეიძლება წარიმართოს დიალოგის აღდგენა ქართულ და რუსულ პოლიტიკურ ელიტებს შორის?**

— რუსეთთან დიალოგი ჯერჯერობით შეიძლება წარიმართოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ რეგიონებში სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების თაობაზე. სანამ სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების საკითხი არ მოგვარდება, რუსეთთან სრულმასშტაბიანი დიალოგის აღდგენა წარმოუდგენლად მიმაჩნია. მაშინ როცა რუსეთს ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაზე, ან სხვა საკითხებზე საუბარი შეუძლებელია. დიალოგი არსებობს მრავალმხრივი, დიალოგის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვან თემაზე, იმაზე თუ როგორ უნდა განვითარდეს პროცესები რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ჯერ უნდა გადაწყდეს რუსეთ-საქართველოს შორის უმნიშვნელოვანესი საკითხები და მერე სხვა საკითხები. თუ ცალკეულმა პოლიტიკურმა წრეებმა მოსკოვთან ურთიერთობების აღდგენა ცალ-ცალკე დაიწყეს, არ გამოვრიცხავ, რომ მათი ასეთი ნაბიჯი მოსკოვში, შესაძლოა, აღქმული იყოს ისე, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას შეეგუა.

**კობა ბენდელიანი**

სამართალი ქართულად

*სანამ ადვოკატები საქართველოში სამართალს ეძებენ და ჯერჯერობით ვერ უპოვიათ, ძებნილი ქიბარ ხალვაში ევროპაში იმალება და როგორც ამბობენ, თავშესაფარს საფრანგეთსა და გერმანიაში ითხოვს. მას შარშან ხელისუფლებამ ბრალი ქონების დატაცებისა და გადასახადების დიდი ოდენობით დამალვის მუხლით წაუყენა, თუმცა იმთავითვე ყველასთვის ადვილად მისახვედრი იყო, რომ ამ საქმეში პოლიტიკური მოტივები მძლავრობდა. ქიბარ ხალვაში ირაკლი ოქრუაშვილთან მეგობრობის გამო „დასაჯეს“.*



# ქიბარ ხალვაშის ადვოკატები უსამართლო მოსამართლეებს უჩივიან...

გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ ხალვაშის ადვოკატებმა **დიმიტრი გაბუნიამ** და **პაატა სალიამ** პრესკონფერენცია გამართეს. მათი თქმით, ხალვაშის კუთვნილი კომპანიების „არტი ჯგუფის“, „ინტერნეიშნალ ბილდინგ კომპანისა“ და შპს „პრიზას“ წინააღმდეგ ხელისუფლებასთან შეკრული მოსამართლეები, კანონის უხეში დარღვევით, ათეულობით ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემენ და მიზანმიმართულად ანადგურებენ საკმაოდ სოლიდური აქტივების მქონე საწარმოებს. ადვოკატები ამბობენ, რომ „არტი ჯგუფის“ სათაო ოფისი სწორედ ხელისუფლების დავალებით დაწვეს, ექსპერტების დასკვნით, ქონება ბენზინით არის დამწვარი, ხოლო ადგილზე მისულ სახანძრო მანქანებს თან წყალი არ აღმოაჩნდათ (!ძ.

ადვოკატების შეშფოთება განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს მომხდარმა ფაქტმა გამოიწვია. ოთხმა მოსამართლემ ერთ თვეში (6 ოქტომბრიდან — 6 ნოემბრამდეძ 15 საქმე განიხილა. ამაში გასაკვირი თითქოს არაფერია, რომ არა უადვოკატოდ ჩატარებული პროცესები. მოსამართლეებმა ევროკონვენციის მე-6 მუხლი დაარღვიეს, რადგან უფლება არ მოგვცეს, დაგვეცვა ჩვენი კლიენტი, — განაცხადეს ადვოკატებმა, ჩვენ დავაყენეთ მოსამართლეების აცილების საკითხი, მაგრამ არ გაითვალისწინეს. საზოგადოებას უნდა ვაცნობოთ, რომ შეგვაქვს სარჩელი საკუთრების ხელყოფის გამო სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. 39-ე მუხლის შესაბამისად, 3 დღეში ველოდებით ევროპიდან პასუხს.

ადვოკატების განცხადებით, მათ საქართველოში პროცესის მოგების ილუზია არა აქვთ, თუმცა ითხოვენ, ერთი კვირის შემდეგ დანიშნულ სააპელაციო სასამართლოში მაინც მიეცეთ კლიენტის დაცვის უფლება. ადვოკატების მტკიცებით, მთავრობის მიზანია, გაყიდოს ქიბარ ხალვაშის ქონება და ამით იქიოს პოლიტიკურ ნიადაგზე გაჩენილი შური.

**ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ხალვაშის ქონების დაყადაღებით 4000 ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ საწარმოებმა ბიუჯეტში 70 მილიონ ლარზე მეტი შეიტანეს, მაგრამ ეტყობა, სახელმწიფოს თავისი პრინციპების ბოლომდე მიყვანა, ამხელა ზარალად უღირს.**

**თეა მოსია.**

ქარწაღებულნი

# იდიოტების ქვეყანა თუ ძეგლებთან ომი?

**დამარცხებულ ქვეყანაში ქარები თარეშობს, განტევების ვაცად კი ქარის წისქვილები ქცეულა. ხელისუფლება, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება აგვისტოს მოვლენებზე, რუსეთის აგენტების დევნაში ეძებს გამოსავალს, ანდა, ძეგლებზე თავგანწირულ გალაშქრებაში. თითქოსდა, ეს ძეგლები ფეხს აიდგამენ და დარიალის კარიბჭიდან შემოუძღვებიან ვინმე გიორგაძეს თუ აბაშიძის მსტოვარს.**

ხელისუფლებას შიშის ზარს სცემს პუშკინის ძეგლი. განა ომი რუსეთთან პუშკინმა წამოიწყო? თუ ეს დიდი რუსი პოეტი მოუძღვოდა კბილებამდე შეიარაღებულ 58-ე არმიას როკის გვირაბთან? ომს ძეგლები კი არ იწყებენ, არამედ უნიათო პოლიტიკოსები, და თუ გორის დაბომბვა სტალინის ძეგლზე შურისძიება ჰგონია მავანის მოკლე ჭკუას, მართლაცდა, ვერ ყოფილა ჩვენი საქმე კარგად...

კომუნიზმის მშენებლობის ცრუ ილუზიებით აღსავსე ეპოქის დასასრული ლენინის ძეგლის გადმოგდებით დაგვირგვინდა ჩვენთან, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბელადომანიის ჭაჭანება მოსპობილიყო, მაგრამ სენთან ბრძოლას მის გამომწვევ მიზეზებთან ჩაძიებისას მოჰყვება შედეგი, და არა ფიგურების ნგრევა-მსხვრევას.

როგორც ჩანს, ბრძოლის ეს, ასე ვთქვათ, მეთოდი კრიტიკული ვითარებიდან ყველაზე იოლი გამოსავალია და პიარზეა გათვლილი. პიარია ე. წ. კარუსელები — ზედაპირული, ფასადური ცვლილებებიც მთავრობაში — ერთი და იგივე სახეების გადაჯგუფ-გადმოჯგუფება...

ასეთ ვითარებაში, დამარცხებული ქვეყნის ოპოზიციასაც ჰყავს თავისი განტევების ვაცი. ეს არის სააკაშვილის მიზანმიმართული კრიტიკა და... საკუთარი უხერხემლობის გასამართლებლად, დრო და დრო, ჯოხის გადამტვრევა ხალხზე. ბატონმა გუბაზ სანიკიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში დაასკვნა რა, რომ ხელისუფლება თურმე მორიგ ახალ პროვოკაციას ეძებს და ომის წამოწყებას აპირებს წამებულის იმიჯის შესაქმნელად, განაცხადა: „...ამ საქმეში კიდევ იდიოტი არ დაილევა და წამოეგება კიდევ ეს ხალხი ახალ პროვოკაციას. საქართველო ხომ, იდიოტების მხრივ, პირდაპირ მადანია, არა?! რამდენიც ქუვეითში ნავთობი ამოდის, ჩვენთან იმდენი სულელი ამოდის და რამდენიმე ათასი ადამიანი, მერწმუნეთ, დაიჯერებს იმ სისულელეს, რომ მიშა წამებულია“.



ეს სიტყვები კომენტარს ნამდვილად არ საჭიროებს, მაგრამ საკითხავია, ქართველი ხალხი თუ საჭიროებს ასეთ შეურაცხყოფას? ახლა მომრავლდნენ იდიოტები და სულელები საქართველოში, როცა ოპოზიციას სანუკვარ მიტინგებზე ხალხი ველარ გამოჰყავს? ამის მიზეზი ისევ და ისევ ოპოზიციაშია საძებნი და არა — ხალხში, იმ ოპოზიციაში, ვინც სააკაშვილის შესაცვლელი ვერანაირი ალტერნატივა ვერ შესთავაზა საზოგადოებას, გარდა ლოზუნგებისა: „მიშა, მოვედით!“ და „სააკაშვილი უნდა დამთავრდეს!“

სწორედ ოპოზიციის არათანამიმდევრულობამ და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებისთვის ბრძოლამ უიმედობა და ნიჰილიზმი დანერგა ხალხში, რისი დანახვაც ოპოზიციის ზოგიერთ მესვეურს არ სურს და ისევ და ისევ ხალხია მისთვის ამ ქვეყნის ამომგდები და დამაქცევარი...

და აი, შედეგი — ქარების თარეშს დამარცხებულ ქვეყანაში აბურდული აზრებიც ერთვის, საბედნიეროდ, ქარის წისქვილებთან ბრძოლაში გართულებს აღარ ახსოვთ ბესიკ ხარანაულის ლექსის სტრიქონები:

**„საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია, სად არიან შვილები, შვილები სად არიან?“**

სად არის ყველაზე მართალი და ზნეობრივი საქართველო? ისინი ჩვენი უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში დაილუპნენ, და სწორედ მათი ხსოვნა არ იმსახურებს ქარს გავატანოთ არა მხოლოდ მათი სახელები, არამედ საუკუნეებით ნალოლიავები სამშობლო.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

**ზურაბ ავალიშვილი**

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

რასაკვირველია, კაცმა რომ თქვას, ერეკლე იყო რუსეთის ვასალი, რომელმაც მისგან „მსახურების“ მოვალეობის ფასად იყიდა თავისი სამფლობელოებისა და ტახტის სრული გარანტია. მაგრამ საქართველოს დამოკიდებულება არ ყოფილა ვასალური – ამ სიტყვის ზუსტი და სპეციალური თვალსაზრისით. საქართველო 1783 წლის შემდეგ იყო არასუვერენული, სხვაზე დამოკიდებული სახელმწიფო; მაგრამ იგი გახდა არასუვერენული სახელმწიფო ზოგიერთ თავის უფლებაზე კეთილ-ნებოზითი უარის თქმის გზით, სახელშეკრულებო თვითშეზღუდვის გზით, და არ არის წარმონაქმნი სიუზერენი სახელმწიფოსი, რომელიც ცალმხრივი ნებით აკუთვნებს არასუვერენული სახელმწიფოს თვისებებს პროვინციას ან დაპყრობილ ქვეყანას. მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში – როდესაც დამოკიდებული პოლიტიკური ერთეული სიუზერენის კრეატურაა (იურიდიული თვალსაზრისით) – შეიძლება ვილაპარაკოთ ვასალურობაზე. მაგალითი: ვასალური სახელმწიფოები, რომლებიც ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში შედიან (de jure) – ისინი სულთნის ფირმანებით არის შექმნილი. უფრო ძველ და ტიპიურ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი აქტი სიუზერენის მიერ ვინმესთვის სამებატონო (ლენური) სამფლობელოს გადაცემისა, ასეთ შემთხვევებში ნაგულისხმევი უფლებებითა და ძალაუფლებით, ვასალური სამსახურის პირობით.

აშკარაა, რომ ამ თვალსაზრისით საქართველო არ ყოფილა რუსეთის ვასალი. მაგრამ 1783 წლის ტრაქტატით შექმნილ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ შეიძლება ვხედავდეთ არც პროტექტორატს სიტყვის თანამედროვე თვალსაზრისით, ვინაიდან სიუზერენისადმი „სამსახურს“, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებაში, პროტექტორატისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ, სწორი არ უნდა იყოს ის აზრი, თითქოს „საქართველოს დამოკიდებულება 1783 წლის ტრაქტატის მიხედვით წარმოადგენდა წმინდა წყლის პროტექტორატს“, რომელიც გამოთქმულია ბ-ონ ხელთუფლიშვილის (ი.ხ.) საუცხოო სტატიაში „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“. Юридическiй Вьстник, 1891 წ. № 8, გვ.354). საერთო კი პროტექტორატის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებთან საქართველოს ისა აქვს, ისინი ყველანი სახელმწიფოები იყვნენ დამოკიდებულების შემდგომ დამყარებამდე და ამ დამყარებისაგან დამოუკიდებლად.

ამრიგად, განსახილველი შემთხვევა არ ეხება არც ვასალურობის ცნებას, არც პროტექტორატის ცნებას – ზუსტი თვალსაზრისით, და ერთნაირად ერგება როგორც ერთის, ისე მეორის კალაპოტს – თუ მათ უფრო ზოგადად გავიზიარებთ.

ზემოთ ხსენებული ცნებები შექმნილია იურიდიული დოგმატიკით, რომელსაც საქმე აქვს ფაქტების გარკვეულ წრესთან. სწორედ ამიტომ, მათ ზოგადი მნიშვნელობა არ გააჩნიათ (ამავე მიზეზით აიხსნება მათი მერყეობა, უნიადაგობა და ბუნდოვანება, როდესაც ცდილობენ ისინი ზოგად კატეგორიებს გაუიგივონ. უფრო კეთილგონივრული იქნებოდა, არ გადაგვეხვია ისეთი ფართო კლასიფიკაციებისათვის, როგორიც აქვს, მაგალითად Revier- ს, Principes du droit des gens T.l.,p. 79-93. (Le protectorat du suzeran, le protectorat, espece pazticuliere de souverainete coloniale, le propument dit ou la protectionძ განასხვავებენ აგრეთვე სახელმწიფო სამართლის პროტექტორატს (რაც ვასალური დამოკიდებულების ტოლფასიაძ და საერთაშორისო სამართლის პროტექტორატს და ა.შ. ჩვენი შემთხვევა უკანასკნელ თანრიგს განეკუთვნებაძ.

მაგრამ ისეთი ზოგადი ცნებები, როგორიც არის არასუვერენული სახელმწიფო, თვითშეზღუდვა ხელშეკრულების გზით და ორმხრივი შეთანხმება (სტიპულაციაძ იმის თაობაზე, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს დამოკიდებულება – მოიცავს ჩვენს შემთხვევასაც, და ჩვენ ვხედავთ, რომ 1783 წლიდან საქართველო წარმოადგენს არასუვერენულ სახელმწიფოს, რომელმაც ივალდებულა სიუზერენისადმი სამსახური, და უარი თქვა – მის სასარგებლოდ – დამოუკიდებლად გასძღოლოდა საგარეო საქმეებს, მისი ტერიტორიის გარანტირებული საერთაშორისო დაცვისა და ტახტზე ეროვნული დინასტიის დარჩენის უზრუნველყოფის სანაცვლოდ (არ არის ძნელი დასანახი , თუ როგორ დაიხვეწა ერეკლეს თავდაპირველი წინადადებები ტრაქტატში. ხარკზე, რომლის გადახდასაც კისრულობდა ერეკლე - მასში სიტყვაც არ არის ნათქვამი: ყოველი კაცი მიხვდება, ერეკლეს რომც შეეთავაზებინა ხარკი, იმპერატრიცა არაფრის დიდებით არ დათანხმდებოდაძ.

რაც შეეხება ფორმას, რომლითაც გამოიხატა საქართველოს დამოკიდებულება რუსეთზე 1783 წლის ტრაქტატის მიხედვით, ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ უნდა მოეხდინათ გავლენა ამ ფორმაზე სპარსეთისაგან საქართველოს ადრინდელი დამოკიდებულების ნიშნებს. აღმოსავლეთი დასავლეთზე გაცილებით უფრო მეტხანს ინახავდა და ინახავს ყოველგვარ ნიმუშს პოლიტიკური შენაერთებისა, რომლებიც სიუზერენისა და ვასალის ურთიერთობებს ემყარება, სწორედ ასევე მიმართავდა ამ ფორმებს, და ბაძავდა იმას, რაც იყო ადგილზე, ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელმაც ინდოეთის ხელმწიფეებს მრავლად დაუდო 1783 წლის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულებები. მაგრამ თუმცა ამ ხელშეკრულებებში რაჯებსა და კომპანიას შორის იყო ლაპარაკი „სამსახურზე“, უპირატესად სამხედრო დახმარების სახით, მაგრამ ინგლისელებს იზიდავდა, უმთავრესად, არა ეს დახმარება, არამედ კონტროლი რაჯების პოლიტიკისადმი და მკვიდრ მთავართა შორის ისეთი კომბინაციების მოწყობა, სარფიანი რომ იქნებოდა კომპანიისათვის. ამიტომ, თანდათან, ვასალობას ენაცვლებოდა წმიდა წყლის პროტექტორატი, საზოგადოდ კი, ინდოელ მთავრებთან კომპანიის მიერ დადებული ხელშეკრულებები წარმოადგენდნენ გარდამავალ საფეხურს ნამდვილი ვასალური დამოკიდებულებიდან ნამდვილი პროტექტორატისაკენ.

დაბოლოს, საქართველოს 1783-1801 წწ. ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც არ გამოირჩევა იურიდიული გაფორმების დიდი გულმოდგინებითა და სრულქმნილებით, განეკუთვნება შეერთების „გარდამავალ“ ფორმებს, და, კაცმა რომ თქვას, ცხოვრებაშიც ჰქონდა გარდამავალი – და ფრიად წარმავალი მნიშვნელობა.

ზემომოყვანილი დათქმებით, შეიძლება ამას (ანუ ამ ურთიერთობასძ ვუწოდოთ პროტექტორატი – და, შემდეგ, შევუდგეთ იმის განხილვას, თუ როგორ ახორციელებდა რუსეთი ამ პროტექტორატს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-217.

## თავი მეცხრე. საქართველო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ

### I.

1783 წლის გვიან შემოდგომაზე რატიფიკაციისა და საინვესტიტური ნიშნების კვალდაკვალ თბილისში ჩამოვიდა ორი რუსული ბატალიონი. როგორც ჩანს, ასეთი რაოდენობის ჯარი საკმარისად ჩათვალეს საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის გარანტისა და მომავალი მონაპოვრებისათვის (ე.ი. საქართველოს გვირგვინის იმ მიწებისათვის, რომლებიც მაჰმადიანთაგან უკან უნდა დაებრუნებინათ – საქართველოში ამ ჯარების შემოყვანის თაობაზე დადგენილი იყო „სეპარატის არტიკულებში“, ისევე, როგორც წართმეული ტერიტორიების დაბრუნების შესახებძ.



ხოლო 1787 წლის ზაფხულში, პოლკოვნიკი ბურნაშოვი, განჯასთან ქართველებისა და რუსული ბატალიონების ლაშქრობის დროს, იღებს ბრძანებას, დატოვოს ამიერკავკასია; მიუხედავად მეფის დაბეჯითებული თხოვნისა, მიუხედავად იმისა, რომ შუა გზაზე უნდა მიეტოვებინათ მარჯვედ დაწყებული ლაშქრობა, ბურნაშოვი, ასრულებს რა ბრძანებას, მარშით მიდის უკან და აბრუნებს რუსეთის რაზმს „ლინიაზე“. რატომ მიიღეს ასეთი, როგორც ჩანს, საქართველოს დამღუპველი გადაწყვეტილება?




რაოდენ უცნაურიც უნდა გვეჩვენოს, საქართველოდან ჯარების გაწვევის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი იყო ის მოსაზრება, რომ **„ერეკლე მეფეს უფრო გაუადვილდება უვნებელყოფა თავისი ადრინდელი კავშირების განახლების მეშვეობით, რომლებიც დაინგრა, ერთადერთი, საქართველოში რუსეთის ჯარების ყოფნის შედეგად“.**

საჭიროა განვმარტოთ, რომ იმავე 1787 წლის 7 ნოემბერს გამოცხადდა მანიფესტი ოსმალეთის ომის შესახებ (ეს მეორე ომია ოსმალეთთანძ რუსეთის „დივერსიის“ მოწყობაზე, და, ამიტომ, რუსეთის ბატალიონები იქ არ უნდა დარჩენილიყვნენ. ერთი შეხედვით, შეიძლება გაუგებარი მოგვეჩვენოს, რატომ ტოვებენ რუსული ბატალიონები საქართველოს ზედ რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ, როდესაც (თითქოს, ტრაქტატის შინაარსის მიხედვითაც და ფორმის მიხედვითაცძ რუსეთის მოწინააღმდეგე იგივე საქართველოს მოწინააღმდეგეა, და პირიქით; თან, მეტადრე, მაშინ, როდესაც აქამდე ცოტა ხნით ადრე საქართველომ განიცადა ცბიერი ომარ-ხან ავარიელის გამაჩანაგებელი და უაღრესად საშიში შემოსევა, რომელსაც ვერაფერს უხერხებდნენ გაერთიანებული რუსულ-ქართული ძალები? ამ ომარ-ხანს ყოველნაირად აქეზებდა პორტა, ახალციხის ფაშას მეშვეობით; როგორც საერთოდ უსევდა საქართველოს ყველას და თითოეულს 1783 წლის ტრაქტატის შემდეგ, გრძნობდა რა, ვინ უმაგრებს ზურგს სამეფოს და რა იგულისხმება ძველი ქართული მიწა-წყლის დაბრუნებაში („ტრაქტატის მეორე არტიკულის შინაარსი, რომლითაც იმპერატრიცა ეკატერინე განავრცობდა თავსდებობას მეფე ერეკლეს ისეთ სამფლობელოებზეც, რომლებსაც დროთა განმავლობაში შეიძენდა, პირდაპირ იშვერდა თითს ახალციხის საფაშოზე ანუ სამცხე-საათაბაგოზე, ქართველ მეფეთა ოდინდელ კუთვნილებაზე“. ბუტკოვი, ტ.II, თ.125. ასეთი ზრახვების საქვეყნოდ გამოცხადება ხელშემკვრელ მხარეთა უხეში შეცდომა იყოძ.

მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, რუსეთის ჯარების გაწვევამ სასიკეთო შედეგები მოუტანა საქართველოს. ქვეყანამ ერთი პირობა შვებით ამოისუნთქა.

რაში იყო საქმე? უბრალოდ, იმაში, რომ რუსეთის მიერ გამოგზავნილი ჯარი და პროტექტორატის საშუალებები, რომლებსაც იყენებდა, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ უსაფრთხოეყო საქართველო, და მშვიდობა მოეტანა მისთვის; მაგრამ სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, და მხოლოდ იმისათვის, რომ აეფორიაქებინა კრაზანის ბუდეები საქართველოს ირგვლივ, ყველა ფაშა, ყველა სახანო, მთელი დაღისტანი (იმ გამარჯვებებსაც კი, მაგალითად, 1785 წელს რომ მოიპოვეს, არავითარი სხვა შედეგი არ მოჰყოლია. **„პროტექციამ, 1783 წლიდან რომ უწევდა რუსეთი საქართველოს, ითქვა 1801 წელს სახელმწიფო საბჭოში, ეს ბედკრული მხარე ჩააგდო ისეთ უბედურებათა უფსკრულში, რომლებმაც იგი მთლად დააუძლურეს.** etc. , სახელმწ. საბჭოს არქ.,ტ.III, ნაწ.მე-2,1197ძ.

რაღა გასაკვირია, რომ რაკი არ სცნეს საჭიროდ სრული მოცულობით გაეწიათ დახმარება და პროტექცია, საქართველოს ქვა აუგდეს და თავი შეაშვერინეს: აქაოდა, „ერეკლე მეფეს უფრო გაუადვილდება თავის უვნებელყოფა იმ ადრინდელი კავშირების განახლების მეშვეობით, რომლებიც დაინგრა, ერთადერთი, საქართველოში რუსეთის ჯარების ყოფნის შედეგადო“.

მაგრამ ეს სეირია სიუზერენისა, რომელმაც აქამდე კისრად იდო მზრუნველობა ვასალის საგარეო უსაფრთხოებისათვის, ახლა კი სთავაზობს მისი პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყანას, დამოუკიდებელი დიპლომატიით (პროტექტორატის ძირითადი მოთხოვნა სწორედ ის არის, რომ მფარველობის ქვეშ მყოფმა სახელმწიფომ უარი თქვას დამოუკიდებელ დიპლომატიაზე.ძ დააღწიოს თავი სიძნელეებს, რომლებიც ამ პროტექტორატმა გამოიწვია – ეს არის ელდასაცემი, წრესგადასული სეირი!

### II.

#### 1.

**როდესაც 1783 წელს ერეკლესთან ტრაქტატს სდებდნენ, და მეგობარი რუსეთის რაზმი ტიალი დარიალიდან მეორედ შემოვიდა საქართველოს სანახებში, იგულისხმებოდა არა მარტო დარაჯობა ქვეყნისა, რომელიც რუსეთს სამფარველოდ მიჰნებდა, არამედ გაცილებით უფრო მეტი რამ. საქართველო უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ავანპოსტი – და მარჯვენა ფლანგი სპარსეთში შემტევი მოძრაობისა.**

**ჩვენ ვნახეთ, როგორი იყო რუსეთის ზრახვები ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ. გრაფ ვოინოვიჩის მარცხის მიუხედავად, პოტიომკინის გეგმა არათუ ჩაფლავდა, პირიქით, უფრო მეტად გაიფურჩქნა.**

საქართველოს ქვეშევრდომად მიღების შემდეგ იგივეს ეშურებოდა დაღისტნის ერთ-ერთი უძლიერესი გამგებელი, ტარკის შამხალი. ჯერ კიდევ 1783 წლის ტრაქტატის დადებამდე პოტიომკინს მფარველობისა და დახმარების თხოვნით მიმართეს სომეხმა მელიქებმა, რომლებსაც იბრაჰიმ-ხან ყარაბაღელი ავიწროვებდა.

ასეთ პირობებში გაჩნდა აზრი, რუსეთის პროტექციაში მიეღოთ ყარაბაღი და ყარადაღი, ერთდროულად შეეტიათ ორი მხრიდან – ყიზლიარიდან, დერბენტის გავლით, სამხრეთისაკენ – და საქართველოდან. ამავე დროს მიმდინარეობდა სამზადისი ასტრახანში (აპირებდნენ, რა თქმა უნდა, ზღვის მხრიდანაც ემოქმედნათძ, და ექსპედიცია 1784 წლის ზაფხულში იყო განზრახული (რათა უფრო ადრე მოეთავებინათ ყუბანის და ყირიმის საქმეებიძ. მაგრამ ოსმალეთის დიპლომატია აზერბაიჯანში რუსებისაზე უფრო წარმატებული აღმოჩნდა: პორტამ შეძლო, გადაებირებინა ყარაბაღისა და ხოის ხანები, რომლებსაც უკვე რუსეთის ქვეშევრდომობაზე ეჭირათ თვალი.

ამის შემდეგ, ყოველგვარი გადამწყვეტი მოქმედება შეჩერდა, რადგან გამოკრთა შესაძლებლობა, უსისხლოდ შემოემატებინათ მრავალი მხარე.

უკვე ითქვა, რომ ალი-მურად-ხანი, ქერიმ-ხანის ძმისშვილი, ამ დროს უძლიერესი იყო სპარსელ პრეტენდენტთაგან. მას სურდა, გამხდარიყო ნამდვილი, აღიარებული შაჰი, და აღმოჩნდა, რომ რუსეთის გარდა სხვა ვერავინ მოაპოვებინებს სეფიანების ტახტს, ამიტომ ურთიერთობა დაამყარა კავკასიის „ლინიასთან“ და შესთავაზა, – თუ მის თხოვნას დააკმაყოფილებდნენ, – უაღრესად გულუხვი გასამრჯელო; სავაჭრო პრივილეგიების გარდა, იგი რუსეთს აძლევდა მთელ მის ძველ მონაპოვარს კასპიის ნაპირებზე, ზედაც ყარადაღის, ყარაბაღის, ნახჭევანისა და ერევნის ოლქებს – ე. ი. იმაზე მეტს, ვიდრე ახლა აქვს რუსეთს.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

დარგი

**მეაბრეშუმეობა წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო რომ იყო, კარგად არის ცნობილი... საქართველოში ყოველწლიურად 4-4,5 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი მზადდებოდა, ბიუჯეტი მილიონობით მანეთს ღებულობდა, ამ საქმით დაკავებული იყო 100-120 ათასი კომლი, ხოლო პროდუქციის გადამუშავებას 5-6 ათასი კაცი ემსახურებოდა.**

დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა სს „საქაბრეშუმი“, უმუშევარი დარჩა ათასობით ადამიანი.

**— ბატონო გიორგი, არსებობს მეაბრეშუმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა?**

— არ არსებობს და არც მის შემუშავებაზე ფიქრობს ვინმე. მართალია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და-ლად ფინანსების მოძიების მიზნით 2007 წელს წარვადგინეთ თემა გრანტის მოსაპოვებლად, მაგრამ კონკურსში ვერ გავიმარჯვეთ, თუმცა მუშაობა არ შეგვიწყვეტია. წლეულს უკვე საგრანტო დაფინანსებით მუშავდება თემა. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა ვუთხრა საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ჩვენი თემის ობიექტური შეფასებისთვის.



# თუ მეაბრეშუმეობის აღორძინება გვსურს...

## აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი კი გვაქვს, მაგრამ, თავად ეს უძველესი დარგი, სამწუხაროდ, თითქმის აღარ არსებობს

— სამწუხაროდ, გასული საუკუნის სამოციან წლებში (1964 წ.ძ გავრცელდა თუთის მიკოპლაზმური დაავადება — ფოთლის სიხუჭუჭე, — თქვა ჩემთან საუბარში ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, შავი და კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო ასოციაციის კოორდინატორმა საქართველოში გიორგი ნიკოლეიშვილმა, — ამ დაავადებამ 15 მილიონამდე ჯიშიანი ნარგაობა გაანადგურა. თითქმის მთლიანად შეწყდა პარკის დამზადება, გაუქმდა საგრენაჟო ქარხნები, პირველადი დამუშავების ობიექტები, ვალებით შეადგინეს დარგის განვითარების კონცეფცია და მიზნობრივი პროგრამა „აბრეშუმიც“ მაგრამ, სამწუხაროდ, მის განხორციელებაზე არავინ ზრუნავს. შარშან ჩვენმა დარგობრივმა აკადემიამ პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილა მეაბრეშუმეობის მდგომარეობა და წერილობით მიმართა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, მაგრამ მეცნიერთა წინადადებას არავინ გამოეხმაურა. არადა, ეს დარგი რომ აღორძინდეს, რამდენი ოჯახი გაიჩენდა შემოსავლის წყაროს! ნუთუ არავინ უნდა ფიქრობდეს ამაზე?

**— საკვებ ბაზასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

— საკვები ბაზის განსამტკიცებ-

დაფინანსებით მოხერხდა სანერგეში 15 ჯიშის 1500 კვირტის დამყნობა, ნარგავთა გახარება 90 პროცენტია, ეს იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლოს გაშენდება საკოლექციო ნაკვეთი, ხოლო 200-მდე ძირი ნერგი უფასოდ გადაეცემა ქედის რაიონის სოფელ მერისის ფერმერებს. შეგვიძლია აგრეთვე დაინტერესებულ ორგანიზაციებს უფასოდ გადავცეთ 200 ძირზე მეტი დეკორატიული „მტირალა“ თუთის ნარგავი.

**— უახლოეს ათწლეულში რა რაოდენობის პარკის წარმოება და რამდენი ახალი სამუშაო ადგილის შექმნაა შესაძლებელი? თუ გიფიქრიათ ამაზე?**

— როგორ არა, ჩვენი გამოანგარიშებით უკვე 2010 წელს შეიძლება ვაწარმოოთ 280-300 ტონა პარკი და შევქმნათ 2,5-3,0 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო არცთუ შორეულ პერსპექტივაში 10-12 ათასი კაცის დასაქმება გახდება შესაძლებელი.

**— ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია დარგის აღორძინებისთვის?**

— ვერ ვიტყვით, რომ არაფერი გაკეთებულა. 1990-2006 წლებში საქართველოს მთავრობამ მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებით მრავალი დადგენილება მიიღო, მაგრამ ამით დარგისთვის სასიკეთოდ არაფერი გაკეთებულა, რადგან ძირითადი აქცენტი დარგის განვითარებაზე კი არა, მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის შენობის (თავისი მუზეუმითა და დარგობრივი ბიბლიოთეკითძ ხელში ჩაგდების მცდელობაზე იყო გაკეთებული. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს მეაბრეშუმეობა ძირითადად აღნიშნული ობიექტების დაუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა.

**— ამჟამად ეს შენობა ვის ეკუთვნის?**

— ამჟამად თითქმის მთელი შენობა, მუზეუმი და ბიბლიოთეკა კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, სტუდენტები წიგნადი ფონდით ვერ სარგებლობენ, რადგან მისი უნიკალური ნაწილი სამუზეუმო ექსპონატად არის გადაქცეული, ხოლო ნაწილს განადგურება ემუქრება: ზოგიერთ მაღალჩინოსანს მიაჩნდა, რომ მეაბრეშუმეობის აღორძინება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ეს შენობა კულტურის სამინისტროს სისტემაში გადავიდოდა. ეს ასეც მოხდა, მაგრამ შედეგი? აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი კი გვაქვს, მაგრამ თავად უძველესი დარგი — მეაბრეშუმეობა — თითქმის არ არსებობს.

თუ ჩვენს ხელისუფლებას დარგის გადარჩენა რეალურად სურს, მან უნდა გადაამუშაოს და ეტაპობრივად დაყოს 1977 წელს შედგენილი საინვესტიციო პროგრამა „აბრეშუმი“.

თუ ეს გაკეთდა, მერწმუნეთ, დარგი უთუოდ შეასრულებს დაკისრებულ მისიას.

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**

ცრუ რეალობა

***თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს ხელისუფლებაში ისე მიეჩვივნენ „ზეციურ სამოთხეში“ ფრენას, რომ მსგავსი სისულელეების „დასაბუთებაც“ კი აღარ უჭირთ. ამ ორიოდე დღის წინათაც ტელეეკრანიდან ვიღაც „ახალი სახე“ („ნაცნობ სახეებს რომ თავი გავანებოთ) გვიმტკიცებდა: ტყუილად ჰგონიათ ჩვენი ავის მოსურნეთ, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ინვესტორები დაფრთხნენ და საქართველოდან გაქცევაში ერთმანეთს ველარ ასწრებენო. არ დაიჯეროთ, ბატონებო, პირიქით მოხდა, მტრის ჯინაზე ინვესტორები კი არ შემოგვეცალნენ, კიდევ უფრო მოგვიმრავლდნენო.***

# ჩვენ ვცხოვრობთ ვირტუალურ საქართველოში

## ომმა ინვესტორები მოგვიმრავლა?

ეგრეა, მააშ! ჩვენ ვცხოვრობთ არა ჩვეულებრივ, რეალურ ქვეყანაში, არამედ ვირტუალურ საქართველოში. ვირტუალურ ქვეყანაში კი ყველაფრის თხზვა და წარმოდგენა შეიძლება, მათ შორის იმისაც, რომ ნაომარი საქართვლეოდან ინვესტორები კი არ გარბიან, პირიქით, მორბიან და ახალ-ახალი ბიზნესის წამოწყებაში გაურისკავ-დაუფიქრებლად დიდძალ თანხებს აბანდებენ.

თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, ქართველ ვირტუალთა ოპტიმიზმი ხალხს რაიმე შვებას ჰგვრიდეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვირტუალურ საქართველოში დღეს მხოლოდ მისი მთხზველნი — პრეზიდენტი და სახელისუფლებო ელიტა ცხოვრობენ, თავად ხალხი კი ქვეყანაში რეალურად შექმნილი აუტანელი ყოფის მძიმე უღელს მიათრევს. ომმა, რომელიც ვირტუალების აზრით საქართველომ მოიგო, ქვეყანა სინამდვილეში უმძიესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე დააყენა.

ხედავს კი ამ პრობლემებს ხელისუფლება? ძნელი სათქმელია. მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც წაგებული ომის შემდეგ პრობლემები არ შექმნოდა. გამონაკლისი მხოლოდ საქართველოა, რომლის ხელისუფლებამაც, იმის მაგივრად, რომ ხალხისთვის არსებული სიძნელეების შესახებ ხმამაღლა და გულახდილად ეთქვა, ტრაბახსა და ბაქიბუქს კიდევ უფრო უმატა. იგი ამაყობს იმით, რომ ბოლო პერიოდში საქართველომ ეკონომიკის მიღწევებით მსოფლიოში ბოლო ადგილიდან მეთხუთმეტეზე გადაინაცვლა, მაგრამ რატომღაც არ მიანიშნებს, რომ ამ წარმატებას მან მიაღწია (თუკი მართლა მიაღწიაძ ბიზნესის იოლად წამოწყების თვალსაზრისით და არა მისი დაცულობისა და ხელშეუხებლობის მხრივ. არც იმის დანახვა სურს, რომ რუსეთ-საქართველოს ომმა სიტუაცია საგრძნობლად შეცვალა და აქამდე ინვესტორისთვის მომხიბლავი და მიმზიდველი ქვეყანა ამჯერად უკვე რისკის შემცველ ზონად აქცია.

ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფალნი ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა გარემომ ოდნავადაც ვერ შეამცირა უცხოელ ინვესტორთა ინტერესი საქართველოსადმი და თანხების დაბანდება ბიზნესსექტორში კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს. ამის მაგალითად ასახელებენ ებრაელ ინვესტორებს, რომელთაც შექმნილი არასახარბიელო ვითარების გამოც კი ბიზნესსაქმიანობა წუთითაც არ შეუჩერებიათ. არიან სხვებიც, რომლებსაც ადრე დაწყებული პროექტების განხორციელებაზე უარი არ უთქვამთ.

ასეთები მართლაც არიან და ღმერთმა ამრავლოთ, მაგრამ რას ვეუბნებით იმ ინვესტორებს, რომლებსაც არასტაბილური გარემო ყველაზე მეტად აფრთხობთ? ისინი ხშირად ჩამოდიან კიდეც საქართველოში, სიტყვიერად გვპირდებიან, რომ მალე წამოიწყებენ ბიზნესს, მაგრამ მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან, განა რით შეგვიძლია გავამხნევოთ ისინი? რატომაც არა, ასეთი რესურსიც მოეპოვება ხელისუფლებას.

აი თუნდაც ნამინისტრალი კახა ბენდუქიძე, რომლის სახით (და წონითაცძ სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ამოუწურავი მარაგი ებულება. მისი აზრით, ომით მიყენებული ზარალი ვერაფერს დააკლებს ეკონომიკას, რადგან მსგავსი საფრთხისათვის თურმე კარგახანია ვემზადებოდით (თუ მზად ვიყავით, ორ დღეში როგორღა დავმარცხდით?ძ და ვერც უცხოელ ინვესტორებს აუცრუებს გულს საქართველოზე. რის იმედი აქვს, არ იკითხავთ? შესაძლოა გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ ვითარება ქვეყანაში ომის შემდეგ თურმე ბევრად უფრო სტაბილურია, ვიდრე აქამდე იყო (!ძ. საქმე ის გახლავთ, დღემდე არსებობდა საფრთხე, რომ რუსეთი დაგვიპყრობდა. ახლა ეს საფრთხე უკვე რეალიზებულია, რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიებით ჯერჯერობით კმაყოფილია და, აქედან გამომდინარე, ინვესტორებსაც სარისკო აღარაფერი აქვთო.

ასეთია ბატონ კახა ბენდუქიძის მიუკერძოებელი და ობიექტური თვალთახედვა ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლის აზრი ორიგინალობით ხელისუფლების სხვა წევრთაგან ყოველთვის გამოირჩეოდა. რა ვუყოთ, რომ სრულიად საპირისპირო აზრისანი არიან ეკონომიკის ექსპერტები, ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ვერ მალავენ, რომ საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესი დღეს უკიდურეს გასაჭირშია. ხალხს კომპანიებიდან ითხოვენ იმიტომ, რომ შემოსავალი აღარ არის. გადახდისუუნარო კომპანიებს ყადაღას ადებს საგადასახადო, ხელისუფლება ყოველდღიურად კარგავს გადამხდელს. მთავრობა მილიარდების მოლოდინში, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობა იძლევა, ცრუ დაპირებებსა და ტრაბახს უნდება, ხალხი კი ამასობაში სულ უფრო ლატაკდება. არ ჩანს კონკრეტული საქმეები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს.

ამას დაემატა მთავრობის კიდევ ერთი უგუნური ნაბიჯი — ეროვნული ვალუტის კურსის უცაბედი ვარდნა, რამაც სამომხმარებლო ბაზრის ისედაც მზარდ ფასებსა და ინფლაციაზე მომაკვდინებელი გავლენა იქონია. გასულ კვირას სხვადასხვა დასახელების პროდუქტზე ფასები 20 თეთრიდან 1 ლარამდე გაიზარდა, მედიკამენტებისა 10-15 პროცენტით და მეტითაც. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხელისუფლების ქმედებას ფისკალურ სფეროში დადებითად აფასებს, სამომავლო პროგნოზი მაინც მძიმეა. კერძოდ, უცხოური კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში, რომელზეც აგვისტოს ომმა უარყოფითი გავლენა იქონია, შეიძლება კიდევ უფრო შეფერხდეს. უფრო უარესი კი ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიკური აქტივობა 60 პროცენტით დაეცა. 2009 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 4-პროცენტიანი ზრდაა მოსალოდნელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამშენებლო ბიზნესი, ტურიზმი და სხვა სფეროები სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ ინფლაციაზე, რომელმაც აგვისტოს მოვლენების შემდეგ 12,8 პროცენტს მიაღწია.

ასეთ დროს ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოდან ინვესტორები კი არ გარბიან, პირიქით, კარს გვიტალახებენ და ქვეყნის მზარდ ბიზნესში თანხებს თანხებზე აბანდებენ, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. თუმცა არც იმდენად, ჩვენ ხომ ვირტუალურ, მოჩვენებით საქართველოში ვცხოვრობთ და არა რეალურ ქვეყანაში.

**ოთარ ხუციშვილი**

ვუშველოთ „ივერიას“!

# ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმე

## მიმართვა მართლმადიდებელი ქრისტიანებისადმი

**ქრისტესმიერო დედო და ძმებო!**

ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, მოვილოცოთ ჩვენი სულიერი მამის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ს გამოჯანმრთელება, მისი დედა-სამშობლოსა და დედაეკლესიაში მშვიდობით დაბრუნება.

მე ხელთა მაქვს ფურცელი (ხელმოწერების ბლანკი), რომელზეც მთაწმინდის ერთი პატარა ეზოს სხვადასხვა ასაკის მართლმადიდებელი ქრისტიანის, წმ. ნინოს და ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიების მრევლის 12 ხელმოწერაა, ერთადერთი მოკრძალებული, მაგრამ მტკიცე თხოვნით იმათ მიმართ ვისაც ეს ხელეწიფება, **ქართული ტელემაუწყებლობა „ივერიისათვის“ მუდმივი სიხშირის მიცემისა და გაფართოებისათვის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.** მსოფლიო გლობალიზაციის მძვინვარების პერიოდში, მაშინ როდესაც, როგორც ერთხელ ჩემთვის დიდად პატივცემულმა ბატონმა რამაზ საყვარელიძემ აღნიშნა ერთი ხატოვანი ფრაზით, რომ „ჩვენ აღმოვჩნდით გლობალიზაციის ერთ-ერთ ტალღაზე ისე, რომ ვერც მოვასწარით იმის გააზრება, თუ რას ნიშნავს გლობალიზაცია მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნისათვის“. **ერთ-ერთი გამოვლინება ჩვენი ქართველობისა, სხვა მრავალთან ერთად, ჩვენი რწმენისა უფლისადმი, ყოველივე ქართულის განმტკიცებისათვის იქნება ქართული ტელემაუწყებლობა „ივერიისათვის“ ფართო მხარდაჭერა, მისთვის სიხშირის დამტკიცებისა და შემდგომი გაფართოებისათვის.**

საქართველო პატარა ქვეყანაა და როგორც იტყვიან ავად თუ კარგად, ყურმოკვრით თუ ჭეშმარიტად გვესმის და ვიცით, თუ ვინ რითი სუნთქავს. ჩვენ ტელეეკრანებიდან ხშირად გვინახავს თუ როგორ ლოცულობს პრეზიდენტი და მისი ოჯახი სანთლებით ხელში წმინდა სამების საკათედრო ტაძარში უწმინდესისა და უნეტარესის გვერდით და როგორ ემთხვევიან მის მიერ გამოწოდებულ ჯვარს და მარჯვენას. ნეტავ მე და ჩემი გოგონაც მოგვასწროს იმ ბედნიერ დღეს, როდესაც მოგვეცემა ამის საშუალება!

ამიტომ, ბ-ნო პრეზიდენტო, თავს უფლებას ვაძლევ კი არ მოგთხოვოთ, არამედ, **ხაზს ვუსვამ, როგორც ქრისტიანი — ქრისტიანს გთხოვოთ თქვენი თანადგომა ამ ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეში. ეს ნამიჯი იქნება თქვენი, როგორც ქრისტიანის სამადლობელი უფლისადმი და უნეტარესისადმი. ეს იქნება ყველაზე დიდი საჩუქარი და მილოცვა სულიერი მამისადმი.**

ასევე არ შემიძლია აღუნიშნავი დავტოვო ის ფაქტი, რომ საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერები გულწრფელად შეწუხებულნი იყვნენ მისი უწმინდესობის ჯანმრთელობის გამო. მე კარგად ვუწყი, თუ რას ნიშნავს პოლიტიკური და პარტიული მუშაობა, თუმცა დღეს თავს შევიკავებ ჩემი პარტიის დასახელებისაგან, რომლის ერთ-ერთი ვეტერანიც გახლავართ. ამდენად ყველა პარტიულ ლიდერს გთხოვთ, რომ ერთი დღე თქვენი მუშაობისა, პარტიის აქტივისტებმა დაუთმონ ჭეშმარიტად მორწმუნე მართლმადიდებლებში ხელმოწერების შეგროვებას და თუ მე, შეუძლოდ მყოფმა ბესო შურღაიამ შევძელი მთაწმინდის ერთი პატარა ეზოს ორი ოჯახიდან 12 ხელმოწერის შეგროვება, სავსებით გასაგებია, თუ რაოდენ მასშტაბური იქნება თქვენ მიერ გაწეული მუშაობის შედეგი. ოღონდ, რაც მთავარია ეს ფაქტი არ გადაიქცეს ხელმოწერების რაოდენობის თვალსაზრისით უაზრო შეჯიბრებად და არ მიეცეს იაფფასიანი პოლიტიკური PR-კამპანიის სახე.



პატივისცემით,

ნეიროქირურგი

**ბესიკ შურღაია.**

16.11.2008წ.

თბილისი

*P. S. აი, სულ ეს იყო, რაც სულის ერთი ამოსუნთქვით მინდოდა მეთქვა.*

***მადლობას ვუხდი გაზეთის რედაქციას შესაძლებლობისათვის, დამებეჭდა ეს ჩემი მოკრძალებული თხოვნა-მიმართვა მართლმადიდებელი საქრისტიანოსადმი.***

დაგვიანებული პასუხი

# ზომიერების დაცვა ყოველთვის საჭიროა

**ექვსი წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (18 ივლისი. 2002 წ.) გამოქვეყნდა ჩემი მცირე საგაზეთო შენიშვნა გავრილ ტოკარევი თუ დიმიტრი ყიფიანი“, რომელიც ეხებოდა ქალბატონ როქსანა ახვერდიანის წერილს — „გავრილ ტოკარევი. დაუმსახურებლად დავიწყებული დირექტორი“ (გაზეთი „ქართული წიგნი“, №2. 2002 წ.).**

ჩემს შენიშვნაში ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ. რომ ქალბატონი როქსანა ძალზე საინტერესო, მკითხველისათვის უცნობ და სასარგებლო მასალებს აქვეყნებს. ამასთან ერთად საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებლის ვინაობაზე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ესაა არა გავრილ ტოკარევი, არამედ დიმიტრი ყიფიანი. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს იყო არა რაიმე მეცნიერული ნაშრომი. ღრმა გამოკვლევა და დასკვნა, არამედ რიგითი მკითხველის საკუთარი ვარაუდი.

ჩემთვის დღემდე უცნობი იყო, რომ მცირე საგაზეთო წერილზე დაბეჭდილა არა თვით ქალბატონ როქსანა ახვერდიანის, არამედ ალ. ლორიასა და ნ. მიქელაძის სამ-ოთხჯერ ვრცელი პასუხი, „შენიშვნები შენიშვნებზე“ (ჟურნ. „საქართველოს ბიბლიოთეკა“, №№, 2003. გვ. 53-57), რაც ჩემთვის ახლახან გახდა ცნობილი ერთ-ერთ ავტორთან პირადი შეხვედრის დროს.

მკითხველს ბოდიშს ვუხდი 6 წლის დაგვიანებით რომ ვიქცევ მის ყურადღებას, მაგრამ ამ „შენიშვნების“ პათოსმა და ტონმა მაიძულა კვლავ დავბრუნებოდი ამ თემას, არა იმდენად საკუთარი ვარაუდის გასამყარებლად, რამდენადაც წარმოსაჩენად იმისა, რაც არ მოხვდა ჩემს მცირე შენიშვნაში, რასაც ვეყრდნობოდი და რამაც მიკარნახა გამოვხმაურებოდი ქალბატონ როქსანას.

ძალზე კარგად ვიცი, რომ ბიბლიოთეკების ისტორიას იქ მომუშავე სპეციალისტები უკეთესად დაწერენ. ამ საქმეში სხვების ჩარევა, მხოლოდ მოყვარულის დონეზე საკითხის დასმას და რჩევას თუ გულისხმობს. გაიზიარებენ ამ რჩევას ხომ კარგი, არადა ცხოვრება თავისი გზით წავა.

მე პროფესიით ექიმი, სადოქტორო დისერტაციით კი მეცნიერების ისტორიკოსი გახლავართ. ჩემი მეორე პროფესია მწერლობაა. თუ წარმოვიდგენთ, რომ ფილოლოგი დაწერს რომელიმე დიდი სასნეულოს ისტორიას და შეეცდება დაადგინოს მისი გახსნის თარიღი (თუნდაც შეცდომით), ამაზე მე მას მხოლოდ მადლობას ვეტყვი, როგორც ჩემს დარგში მოსულ სტუმარს, რომელიც მედიცინის ისტორიით დაინტერესდა. თუ არ გავიზიარებ მის მოსაზრებებს, ამასაც პატივისცემით, ძალზე მოკლედ გამოვხატავ და არ შევეცდები, შეცდომების გამო მისი პიროვნება საწყენი ეპითეტებით შევამკო.

სხვაგვარად მოიქცნენ ჩემი ოპონენტები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას სხვა დარგის ისტორიკოსი არ უნდა შეეხოს. ეს ოპონენტების გაღიზიანებას იწვევს. თავიანთ ვრცელ შენიშვნებში ისინი მიუთითებენ, რომ დ. ყიფიანის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა არაა საჯარო ბიბლიოთეკის წინამორბედი. ამაშია კამათის მთელი არსი. შეიძლებოდა ამის რამდენიმე ფრაზით გამოთქმა და ყველაფერი დამთავრდებოდა (მეც ხმას არ ამოვიღებდი), მაგრამ, როცა შენს ადრინდელ გამონათქვამებს ივიწყებ, სხვის მოსაზრებას სხვადასხვა ბრუნვაში რვაჯერ გაიმეორებ, ხელოვნურად გაამწვავებ პოლემიკას, ავტორს უვიცად, მკითხველის შეცდომაში შემყვანად, დილეტანტად, უძლურ და ხელმოცარულ მეცნიერად მოიხსენიებ. ცხადია, მისგან პასუხსაც უნდა ელოდე.

ჩემი ინტერესი საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისადმი დაიწყო ჩემი წიგნით „მფარველი ანგელოზები“ (ინახება საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში). მასზე მუშაობისას აუცილებელი გახდა დიმიტრი ყიფიანის არქივის გაცნობა, სადაც, სხვათა შორის, წავაწყდი ასეთ ფრაზას: „მის (დ. ყიფიანის. — **რ.ს.**) სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება“ (დიმიტრი ყიფიანის არქივი. თბილისი. 1951. გვ. VII), რომლის ავტორია პროფ. შალვა გოზალიშვილი. ამავე წიგნში წარმოდგენილია დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივის 1842-1859 წწ. საბუთების სია თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ, კერძოდ:

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წესდება (22 სექტემბერი, 1842 წ.);

დ. ყიფიანის მიმოწერები პეტერბურგელ ანდრეი ივანოვთან თხოვნით, გამოუგზავნოს ბიბლიოთეკისათვის წიგნები (18 იანვარი. 1843 წ.);

პეტერბურგიდან გამოგზავნილი წიგნების სია (მარტი, 1843 წ.);

პეტერბურგში ფულის გაგზავნის ქვითრები, წიგნების მიღების ანგარიშები:

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის 1843-44 წწ. შემოსავალ-გასავლის წიგნი, რომლის 4 ფურცელი დაწერილია დ. ყიფიანის ხელით;

თბილისის კერძო ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა სია და წესდება დ. ყიფიანის შენიშვნებით (1846 წ);

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკის მიმართვა დ. ყიფიანისადმი, დაწერილი გამგის ტოკარევის ხელით (1848 წ);

კანცელარიის წერილი დ. ყიფიანის წიგნების საჯარო ბიბლიოთეკაზე მიერთების შესახებ (1849 წ);

დ. ყიფიანის წიგნების სია, შედგენილი ტოკარევის ხელით (1849 წ. და სხვ).

ამგვარად 1842 წლიდან დ. ყიფიანს ხელთა აქვს საჯარო ბიბლიოთეკის წესდება (შესაძლოა მისივე შედგენილი), 1843 წ. იგი აგროვებს წიგნებს და ამ მიზნით მიმოწერა აქვს პეტერბურგელ ა. ივანოვთან; 1843-44 წწ. საკუთარი ხელით ავსებს საჯარო ბიბლიოთეკის შემოსავალ-გასავლის წიგნს და ა. შ. ყოველივე ეს რაზე მეტყველებს? თუ შალვა გოზალიშვილს არ უნდა ვენდოთ, ან წიგნი „დიმიტრი ყიფიანის არქივი“ მცდარ ცნობებს აწვდის მკითხველებს, ოპონენტთა „შენიშვნებში“ ამის ახსნა უნდა ყოფილიყო. კი ბატონო, გ. ტოკარევს არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება, იყოს იგი საჯარო ბიბლიოთეკის პირველი დირექტორიც და დამფუძნებელიც,

იხ. 9 გვ.

ეკოლოგია

# მომავალ საუკუნეში კონტინენტების სანაპირო ზოლებს წყალი დაფარავს

**თანამედროვე გლობალური დათბობის პრობლემა საკმაოდ გასცდა ვიწრო ეკოლოგიურ ჩარჩოებს და სახელმწიფოთა შორის განხილვისა და შეთანხმებების საგანი გახდა. მეტიც, ეკოლოგისტები მიიჩნევენ, რომ ბარაკ ობამას წარმატების განმაპირობებელი ისიც იყო, რომ სამოქმედო პროგრამაში ნომერ პირველ პრობლემად გლობალური დათბობის მოგვარების საკითხი ეწერა.**

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, გეოეკოლოგიის წრის პედაგოგის ეკა ელისბარაშვილის მოწვევით, გლობალური დათბობის საკითხებს მიუძღვნა ლექციის კურსი პროფესორმა მარიკა ელისბარაშვილმა.

ქალბატონმა მარიკამ საინტერესოდ ისაუბრა გლობალური დათბობის გამომწვევ მიზეზებზე, მისი განვითარების ეტაპებზე და სამომავლო საშიშროებებზე. პროფესორის თქმით, დათბობის პრობლემას უპირველესად წარმოშობს ნახშირორჟანგის გაზი, მეთანის ოქსიდი და აზოტი, რომელიც ატმოსფეროში დღითიდღე იზრდება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო. სითბური აირის — $CO_2$-ის გამოფრქვევა განსაკუთრებით ხდება ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ევროპაში და აღმოსავლეთ აზიის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. გასული საუკუნისგან განსხვავებით, ჰაერის საშუალო ტემპერატურამ 0,6 გრადუსით მოიმატა, ჩვენი საუკუნის ბოლოსთვის კი 1,1-1,6 გრადუსით გაიზრდება. ეს ერთი შეხედვით თითქოს არაფრისმთქმელი ციფრები მნიშვნელოვანი გადახრაა, რაც იწვევს სწორედ კატასტროფულ მოვლენებს, ბუნებრივ კატაკლიზმებს, წყალდიდობებს, გრიგალებს და ა. შ.

პროფესორმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოები აქტიურად მუშაობენ, რათა შეამცირონ $CO_2$-ის გამონაბოლქვი, თუმცა ჯერჯერობით, პროცესები მხოლოდ უარესობისკენ მიდის და თუ ასე გაგრძელდა, 150 წლის შემდეგ კონტინენტების სანაპირო ზოლების 2000 კვ. კილომეტრი წყლით დაიფარება.

**ნია ფიფია**



ინფორმაცია

### „ხელისუფლება მოსახლეობას ატყავებს“

**„ლეიბორისტები“ ხელისუფლებას ბუნებრივი აირის ტარიფის ხელოვნურად ზრდაში ადანაშაულებენ.**

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტების“ იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა, ხელისუფლება აზერბაიჯანიდან 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 275 დოლარად ყიდულობს და მოსახლეობისა და საწარმოებისათვის 850 დოლარად ყიდის.

ძაგანიას თქმით, ხელისუფლება დაინტერესებულია მოსახლეობის „გატყავებით“ და გაზის ტარიფით 300-პროცენტიან მოგებას ნახულობს.

ძაგანიას თქმით, გაზის ტარიფის მომატებასთან დაკავშირებით საბავშვო ბაღებსა და სკოლებში გათბობა ჩართული არ არის, ვინაიდან ხელისუფლების მიერ სკოლებისთვის და ბაღებისთვის დაწესებული ვაუჩერები შენობების გათბობას არ ყოფნის და იძულებულები არიან გათბობისთვის საჭირო თანხა ბავშვების მშობლებმა მიიტანონ.

ძაგანიას განცხადებით, შესაძლოა პურის ფასმა არ მოიმატოს, მაგრამ წონაში აუცილებლად დაიკლებს, რაც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე აისახება.

### საქართველოს იარაღის მიყიდვა უნდა შეუწყდეს

**რუსეთი** დიდად არის დაინტერესებული, რომ კავკასიაში განვითარებული მოვლენები აღარ განმეორდეს, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. ეს განცხადება მან, ბოგოტაში კოლუმბიელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

სერგეი ლავროვმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს იარაღით მომარაგება დაუშვებელია. დიპლომატის განცხადებით, თბილისმა ცეცხლის გამოუყენებლობის ხელშეკრულება იურიდიულად უნდა გააფორმოს. კავკასიის უსაფრთხოებისთვის, სულ მცირე, აუცილებელია ის, რომ საქართველოს არ მიაწოდონ იარაღი, რომელსაც ის თავდასხმისთვის გამოიყენებს.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კავკასიურ კონფლიქტში არავინ არაა მართალი

**საქართველომ მოუწოდა ევროკავშირს, დაიწყოს დამოუკიდებელი გამოძიება კავკასიაში აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით.**

გაზეთის აზრით, კრემლი აჩქარდა განცხადებით, რომ დასავლეთის პრესა ახლა თბილისს აღიარებს აგრესორად.

საქართველოს წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ სთხოვა ევროკავშირს მოაწყოს დაწვრილებითი გამოკვლევა ხუთდღიანი ომისა. მისი სიტყვებით საქართველო მზადაა შესთავაზოს ყველა სათანადო ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალურიც, რათა დაამტკიცოს თავისი სიმართლე.

ეს ნაბიჯი მოჰყვა იმას, რომ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ და პროგრამა „ბი-ბი-სიმ“ ეჭვქვეშ დააყენეს თბილისის მტკიცებანი იმის შესახებ, რომ თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე 7-8 აგვისტოს იყო რუსეთის აგრესიის პასუხი.

„ნიუ-იორკ ტაიმსს“ მოჰყავს სამხრეთ ოსეთში სამხედრო მეთვალყურეთა გამონათქვამები, რომლებმაც ვერ დაადასტურეს განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სოფლები იბომბებოდნენ 7 აგვისტომდე. ეუთოს დამკვირვებლებმაც დაასკვნეს აგრეთვე, რომ საქართველოს ჯარები ისროდნენ ცხინვალის მიმართულებით არტილერიისა და რაკეტების გამოყენებით.

რუსეთის სამართალდამცავმა საზოგადოება „მემორიალმა“ განაცხადა, რომ არის უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ საარტილერიო სროლა წარმოებდა 7 აგვისტომდე, თანაც ამას აწარმოებდა ორივე მხარე.

„გარდიანს“ მოჰყავს „მემორიალის“ ხელმძღვანელის ოლეგ ორლოვის სიტყვები, რომელმაც თქვა, რომ საარტილერიო სროლები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვარზე დაიწყო პირველ აგვისტოს, შემდგომ კი ეს სროლები გაძლიერდა. მაშინ, მისი სიტყვებით, ორივე მხარეს დაზარალდნენ სამოქალაქო პირები.

სამხრეთ ოსეთის ჯარები, როგორც ორლოვი ამტკიცებს, ესროდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის, ქართველებს, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხინვალიდან ჩრდილოეთით. სროლებს აწარმოებდნენ სამხრეთ ოსეთის ჯარები და რუსეთის სამშვიდობოების პოზიციიდან ცხინვალში.

„დიდი მნიშვნელობა აქვს დავადგინოთ, თუ ვინ იყო აგრესორი — აღნიშნავს ოლეგ ორლოვი, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ადგილზე იკვლევდა აგვისტოს მოვლენებს, — მაგრამ უბრალო პასუხი ამისთვის არ არსებობს“.

„რასაკვირველია, საქართველოს ჯარებმა დაიწყეს სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია. მაგრამ მას წინ უძღოდა რუსეთის პოლიტიკა, რომელმაც გამოიწვია საქართველოს პროვოცირება ამ საქმეში“, — განაცხადა ოლეგ ორლოვმა.

„ეს არ ამართლებს საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს. აგრეთვე რუსეთის სამშვიდობოებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი ამოცანები. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის მხარე ამარაგებდა სამხრეთ ოსეთს იარაღით, რომელიც გამოიყენეს საქართველოს წინააღმდეგ რუსი სამშვიდობოების პოზიციებიდან 7 აგვისტომდე“, — ამტკიცებს რუსი სამართალდამცავი. სამხედრო კონფლიქტის ქრონოლოგია, წერს გაზეთი, არის თბილისისა და მოსკოვის დავის საგანი.

ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირველად განაცხადა, რომ მას არ აქვს განზრახული უარი თქვას საქართველოს მხარდაჭერაზე.

BBC RUSSIAN.com



# „ამნესტი ინტერნეიშნლის“ მოხსენების თანახმად, საქართველო-რუსეთის ომში ყველა მხარე დამნაშავეა

**ზემოაღნიშნული მოხსენების თანახმად, რომელიც სამშაბათს გამოქვეყნდა, საქართველოში ომის დროს რუსეთის, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ჯარები არ იცავდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს საშიშროებისგან, ზოგიერთ შემთხვევაში შეგნებულადაც კი უტევდნენ მათ.** მოხსენებაში არის მოწოდება, მოეწყოს დამოუკიდებელი გამოძიება საერთაშორისო სამართლის სერიოზული დარღვევების შესახებ ჰუმანიტარულ და ადამიანთა უფლებების დაცვის დარგში და ამას ჩადიოდა ყველა მხარე აგვისტოს ომის დროს.

„მოხსენებაში გაკეთებულია დასკვნა, რომ რუსეთის მხრიდან იბომბებოდა საქართველოს ქალაქები, სოფლები და მშვიდობიანი მოქალაქეები, როდესაც ახლომახლო არცკი იყო რაიმე სამხედრო ობიექტი“, — წერს გაზეთი.

ელენ ბარი

The New York Times

# ანტირუსული ფრონტი ირღვევა

**ჟენევის მოლაპარაკებათა ქაოტური სტარტის შემდეგ საქართველოში კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, წერს გუშინდელი „დერ სტანდარტი“, ევროკავშირი, გაერო და ეუთო იყენებენ ახალ ცდებს.**

ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება რუსეთთან მოლაპარაკებათა განახლების შესახებ პარტნიორობის ახალ შეთანხმებასთან დაკავშირებით, ხოლო სამშაბათს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა აღნიშნა, რომ „ნდობითი ურთიერთობა რუსეთსა და ნატოს შორის არის აქტივის ყველაზე სტრატეგიული სტატია საერთაშორისო უშიშროების თვალსაზრისით“. ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს, რომელიც გაიმართება ორი კვირის შემდეგ, იგეგმება მიიღონ გადაწყვეტილება რუსეთი-ნატოს საბჭოს საქმიანობის განახლების შესახებ.

ელოდებიან, რომ ჟენევის მოლაპარაკებებზე ყველაზე სერიოზული მოთხოვნა გახდება რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, ნათქვამია სტატიაში. თუმცა, აღნიშნავს მარკუს ბერნატი, საქმე ძნელად რომ მივიდეს რაიმე სერიოზულ გადაწყვეტილებამდე, ვიდრე დაპირისპირებული მხარეების პოზიციების გაცნობაა.

მარკუს ბერნატი

DER STANDARD

# ომისშემდგომი დიალოგი: ილუზიებს არავინ აგებს

**საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყურადღებას უთმობენ იმ თემებს, რომლებიც დაკავშირებულია სამხრეთ ოსეთში ხუთდღიან ომთან.** „ამნესტი ინტერნეიშნლის“ მოხსენება ბრალს სდებს კონფლიქტის ყველა მხარეს საერთაშორისო სამართლის დარღვევაში; საქართველო მოითხოვს ევროკავშირისგან გამოიკვლიონ, თუ ვინ დაიწყო ომი; ჟენევაში „ოქტომბრის ფალსტარტის“ შემდეგ უნდა განახლდეს სამუშაო ჯგუფების მოლაპარაკება კავკასიაში სამშვიდობო მოწესრიგების შესახებ.

მოხსენების თანახმად, საქართველოს ომში ყველა მხარე დამნაშავეა, იტყობინება „ნიუ-იორკ ტაიმსი“. მოხსენება შეიცავს მოწოდებას, მოეწყოს საერთაშორისო სამართლის სერიოზული გამოკვლევა ჰუმანიტარული და ადამიანთა უფლებების დაცვის დარგში, „ამნესტი ინტერნეიშნლმა“ შეისწავლა თანამგზავრიდან გადაღებული სამხრეთ ოსეთის მიდამოებში ნანგრევების სურათები, აგრეთვე ესაუბრა თვითმხილველებს და ადგილზე დაზარალებულებს.

მოხსენების თანახმად, ცხინვალზე თავდასხმის დროს 7-8 აგვისტოს საქართველოს მხარე აწარმოებდა სროლებს „გრადის“ დანადგარებიდან, რომლებსაც, როგორც ეტყობა, მიზანში ვერ ახვედრებდნენ და აზიანებდნენ რაიონებს, სადაც ცხოვრობდა სამოქალაქო მოსახლეობა. დოკუმენტში აკრიტიკებდნენ რუსეთსაც საქართველოს ტერიტორიის მოგვიანებითი დაბომბვის შემდეგ და იმის გამო, რომ მან საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის ძალებს რამდენიმე კვირის განმავლობაში ექარცვათ ეთნიკური ქართველების სოფლები. მოხსენებაში აგრეთვე მითითებულია, რომ ორივე მხარე იყენებდა კასეტურ ბომბებს.

მოხსენების მონაცემებით, რუსეთის ქვეითი ჯარები მშვიდობიან მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს იქცეოდნენ დისციპლინის დაცვით, მაგრამ რუსეთის მხარემ ნება მისცა სამხრეთ ოსეთის ძალებს ექარცვათ და გადაეწვათ ეთნიკური ქართველების სოფლები ცხინვალის ჩრდილოეთით.

ლიუკ გარდინგი გაზეთ „გარდიანში“ იტყობინება, რომ გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ სთხოვა ევროკავშირს მოაწყოს დამოუკიდებელი გამოკვლევა საკითხისა იმის შესახებ, თუ ვინ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, თანაც თავისი უდანაშაულობის დასადასტურებლად საქართველო მზადაა წარუდგინოს მათ ამომწურავი ინფორმაცია, მათ შორის საიდუმლო მასალებიც. კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალასანიას განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც გაზეთმა „ტაიმსმა“ და სხვა გამოცემებმა ეჭვქვეშ დააყენეს საქართველოს ვერსია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ შეტევა სამხრეთ ოსეთზე 8 აგვისტოს ღამით იყო რუსეთის აგრესიაზე პასუხი.

ავტორი აგრეთვე გადმოგვცემს მოხსენების შინაარსს. მასში გაკეთებულია დასკვნა, რომ კონფლიქტის მსვლელობის დროს ორივე მხარე — რუსეთიც და საქართველოც — სერიოზულად არღვევდნენ საერთაშორისო სამართალს.

სამხედრო მოქმედებათა ქრონოლოგიას ასევე სადავოდ ხდიან მოსკოვი და თბილისი. ქართველები ისროდნენ სოფლების მიმართულებით, რომლებიც დასახლებულია ქართველებით, როგორც ცხინვალზე შეტევის ძირითადი საბაბი. ისინი აგრეთვე ამტკიცებენ, რომ რუსეთმა დაიწყო შემოჭრა როკის გვირაბიდან მანამ, სანამ სააკაშვილმა გაგზავნა თავისი ჯარები სამხრეთ ოსეთში.

რაც შეეხება რუსეთს, მისი აზრით, სავსებით ცხადია, რომ ნამდვილი აგრესორი თბილისია. „ამერიკის მასმედიას დასჭირდა სამი კვირა, რათა დაეწყო საუბარი სიმართლეზე კავკასიაში აგვისტოს ომთან დაკავშირებით“, — განაცხადა გაეროში რუსეთის ელჩმა ვიტალი ჩურკინმა თავის სამადლობელ წერილში, რომელიც გაუგზავნა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციას 7 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ. რუსები და ქართველები ჟენევაში კვლავ ცდილობენ დიალოგის გამართვას.

პირველი წარუმატებელი მცდელობიდან ერთი თვის შემდეგ ქართველები და რუსები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს ჟენევაში დისკუსიაზე — ამჯერად არაფორმალურზე — ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს ეგიდით. როგორც კორესპონდენტი ანდრე ალემანი აღნიშნავს, ეს ბრძნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა, რათა თავიდან აგვეშორებინა ოქტომბრის ფალსტარტის განმეორება, როდესაც მოლაპარაკება „შეჩერდა“ აფხაზი და სამხრეთ ოსეთის დელეგაციების მოთხოვნით ყოფილიყვნენ წარმოდგენილი საქართველოსთან თანაბარი უფლებებით. ამჯერად ყველაფერი გაკეთდა ისე, რომ არავინ არ აღმოჩნდეს შეურაცხყოფილი: ორმა სამუშაო ჯგუფმა უნდა განიხილოს კავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის საკითხი და ლტოლვილთა ბედი; თითოეულ მხარეს შეუძლია მოიწვიოს ვისაც საჭიროდ ჩათვლის, რაც შესაძლებელს ხდის აფხაზებისა და ოსების დასწრებას ორივე ზანაკიდან.

ამ თვეში ბევრი რამ შეიცვალა, თანაც არა საქართველოს სასარგებლოდ: საქართველოს პოლიტიკური ოპოზიცია იწყებს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოსვლას, ბრალს სდებს მას ომის დაწყებაში, რომელსაც იგი ვერ მოიგებდა. გამოცემა აღნიშნავს, რომ საფინანსო კრიზისის გამო უკვე აღარავინაა მზად მხარი დაუჭიროს საქართველოს ნებისმიერ ფასად. ამას გარდა ვაშინგტონი ელოდება, სანამ ჩამოაყალიბებს თავის პოზიციას ბარაკ ობამა, ხოლო ევროკავშირმა განაახლა მოლაპარაკება მოსკოვთან პარტნიორობის შესახებ.

ანტირუსული ფრონტი ირღვევა. მიაჩნია ავსტრიის გამოცემა „დერ სტანდარდს“. ჟენევის მოლაპარაკებათა ქაოტური სტარტის შემდეგ ევროკავშირი, გაერო და ეუთო იწყებენ ახალ ცდებს. ელოდებიან, რომ ჟენევის მოლაპარაკებაზე ყველაზე მთავარი მოთხოვნა გახდება რუსეთის ჯარების გამოყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, წერს მარკუს ბერნატი, თუმცა საქმე ძნელად რომ მივიდეს რაიმე დიდ გადაწყვეტილებამდე, ვიდრე ერთიმეორის პრინციპული პოზიციების გაცნობა. „დაპირისპირებული მხარეების შეხვედრა — ეს უკვე პროგრესია“, — აღნიშნავს იგი.

კონფლიქტიდან სამი თვის შემდეგ პრეზიდენტი მედვედევი არ მჯდარა გულხელდაკრეფილი — არმია, ხელშეკრულების თანახმად, გამოვიდა ამბოხებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „ბუფერული ზონებიდან“. მოსკოვმა რუსი ჩინოვნიკი დასვა სამხრეთ ოსეთის პრემიერის სავარძელში.

ზემოაღნიშნულ მოხსენებაზე მითითებით, კორესპონდენტი იტყობინება, რომ ამჟამად თავიანთ სახლებში არ შეუძლიათ დაბრუნება 20 ათას ქართველს, ხოლო რაიონები, რომლებიც ესაზღვრება ორივე თვითაღიარებულ რესპუბლიკას, წარმოადგენს „უშიშროებას მოკლებულ განსაკუთრებულ ზონას“, სადაც პრაქტიკულად ყოველდღიურად გაისმის სროლები და იღუპებიან ადამიანები.

პრესის მიმოხილვა

◎ დაგვიანებული პასუხი

# გომიერების დაცვა ყოველთვის საჭიროა

(მეშვიდე გვერდიდან)

მაგრამ ყოველივე ამას ნიადაგი სხვა ვინმემ ხომ არ მოუმზადა; გარდა იმისა, რომ დ. ყიფიანი კერძო ბიბლიოთეკის დამაარსებელია, საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაში მართლაც არავითარი როლი არ მიუძღვის? აბა ჯერ კიდევ გ. ტოკარევის საქართველოში გამოჩენამდე, საიდან მოხვდა მის ხელში **საჯარო ბიბლიოთეკის წესდება. შემოსავალ-გასავლის წიგნი** და სხვ?

მხოლოდ „ამხანაგობის ბიბლიოთეკის უფასოდ გადაცემის ინიციატორია, თუმცა შემდეგ მოითხოვა და დიდი დავა-კამათის შემდეგ მოახერხა, 1000 მანეთი მიელო“, – მოურიდებლად აცხადებენ „შენიშვნების“ ავტორები. ამ სტრიქონების წამკითხავს, რბილად რომ ვთქვათ, მთაწმინდაზე განსვენებულ და წმინდანად შერაცხილ ადამიანზე, ცოტა არ იყოს, წარმოდგენა შეეცვლება, მაგრამ საქმე ასე სულაც არაა.

სამსახურებრივი დატვირთვის და ბინის სივიწროვის გამო დ. ყიფიანმა ველარ შეძლო ბიბლიოთეკაზე ზრუნვა, ამიტომ 1848 წელს თავისი მთელი წიგნადი ფონდი კანცელარიის ბიბლიოთეკას გადასცა, რაზეც გაფორმდა შესაბამისი საბუთი. მასში ნათქვამი იყო, რომ **პირადი საჭიროების დროს დ. ყიფიანს უფლება ჰქონდა წიგნები სახლში წაეღო**. 1854 წელს მას ზოგიერთი წიგნი მართლაც დასჭირდა და ითხოვა მათი სახლში გაგზავნა, მაგრამ ახალმა გამგემ ამაზე უარი განუცხადა, რაც **პირობის აშკარა დარღვევა იყო**. დ. ყიფიანი იძულებული გახდა, მიემართა კანცელარიისათვის, **დაებრუნებინათ მისი წიგნები,** მაგრამ ამაზეც უარი მიიღო. მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვა საკუთარი წიგნების საფასურის ანაზღაურება. მოვუსმინოთ თავად დ. ყიფიანს: „1854 წლის დამდეგს ბიბლიოთეკის ახალმა გამგემ ჩემს თხოვნაზე, რომ სახლში გამოეგზავნათ ზოგიერთი წიგნი, მიპასუხა, რომ მეფის მოადგილის საგანგებო წერილობითი ნებართვა თუ არ არის, წიგნებს სახლში ვერავის ვერ მივცემო... ჩავთვალე ეს დადებული პირობის პირდაპირ დარღვევად და ვსთხოვე კანცელარიის ახალ დირექტორს მ. პ. შჩერბინინს **დაებრუნებინათ ჩემი წიგნები, მაგრამ მტკიცე უარი მივიღე**. ამაზე 1857 წლის 12 თიბათვეს საჩივრით მივმართე სტატსსეკრეტარს კრუზენშტერნს და **ორი წლის განმავლობაში პასუხს რომ ვერ ვეღირსე,** საჩივარი განვაახლე 1859 წელს და თან ვაცნობე, რომ ოღონდ ამ **ჩემთვის უსიამოვნო პროცესს ბოლო მოეღოს,** მე მზად ვარ ნებაყოფლობით შეთანხმებაზე და მადლობელი ვიქნები თუ 2000 მანეთს მაინც მივიღებ წიგნებში, სულ ცოტა, ერთი ორად რომ მიღირს-მეთქი. მაშინ მე საბოლოო გადაწყვეტილებამდე 1000 მანეთი მომცეს, მაგრამ მალე თან მოაყოლეს ბრძანება, რომ ამ თანხით დავკმაყოფილებულიყავი“ (მემუარები. თბილისი, 1930 წ. გვ. 106. 107ძ.

ამგვარად ნათელია, საკუთარ წიგნებს რომ სწირავდა საჯარო ბიბლიოთეკას, დ. ყიფიანს სულაც არ უფიქრია მათი საფასური აეღო, მაგრამ კანცელარიის ჩინოვნიკების მხრიდან სიტყვის გატეხვის გამო, ის იძულებულია, დაიცვას საკუთარი თავმოყვარეობა და მოითხოვოს საფასურის ნახევარი, შემდეგ კი მის მეოთხედზეც დაკმაყოფილდეს.

„შენიშვნების“ ავტორები არაორაზროვნად, პირდაპირ და შეიძლება ითქვას, ისეთი ფორმით, რაც არ ეკადრება დიდი მოღვაწის უკვდავ სახელს, აცხადებენ, რომ დიმიტრი ყიფიანი არის მხოლოდ შემომწირველი. „დ. ყიფიანს ამ ბიბლიოთეკისათვის სხვა არაფერი გაუკეთებია. ყოველ შემთხვევაში, არავითარი ცნობა არ არსებობს, რომ დ. ყიფიანს ამ ბიბლიოთეკის დაარსებაში რაიმე ღვაწლი მიუძღოდეს“. ამ დროს მის ბინაზე კერძო ბიბლიოთეკა არსებობდა და „რა გასაკვირია, რომ დ. ყიფიანი ვერ გარეულიყო სხვა ბიბლიოთეკის საქმიანობაში“-ო, ასკვნიან ისინი (ჯერ ერთი, სადაური ლოგიკაა? რამდენი კერძო ბიბლიოთეკაც არ უნდა ჰქონოდა, საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობაში, თუნდაც მის დაფუძნებაში გარევას ასეთ დიდ მოღვაწეს და იმდროინდელ მაღალი თანამდებობის პირს ხელს ნამდვილად ვერაფერი შეუშლიდაძ.

ახლა მოვუსმინოთ თვით დიმიტრი ყიფიანს: „1840 წლიდან მე ვაწარმოებდი კერძო ბიბლიოთეკის შედგენას იმ მიზნით, რომ **შემდეგ მისგან დამეარსებინა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა“** (სიმონ ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფილისი. 1836. გვ. 180ძ. ვფიქრობ დავას არ უნდა იწვევდეს, რომ „საზოგადოებრივში“ იგულისხმება „საჯარო“. დავუშვათ, თავისი განზრახვა დ. ყიფიანმა სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ წიგნების შეწირვის გარდა მას საჯარო „ბიბლიოთეკისათვის სხვა არაფერი გაუკეთებია“? რა თქმა უნდა, არა.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ გარკვევით წერია, რომ დიმიტრი ყიფიანი **ილვწოდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის“**-ო (ტ. 10. 1986 თბილისის, გვ. 654ძ. არა მგონია, ამ სტრიქონების ავტორი მხოლოდ წიგნების შეწირვას გულისხმობდეს, რა თქმა უნდა, არა.

„1830-1886 წლების საქართველოში არ ყოფილა მნიშვნელოვანი მოვლენა – სათავადაზნაურო ბანკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, დრამატული საზოგადოების, **საჯარო ბიბლიოთეკის,** ქართული თეატრის დაარსება – რომ დიმიტრი ყიფიანი მისი **ინიციატორი** არ ყოფილიყო“ – პასუხობს ქალბატონი ლეილა ნანიტაშვილი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს უ. ბახტაძეს, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა დიმიტრი ყიფიანის „მემუარების“ გამოცემას (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №31. 14 მარტი, 1989 წ. გვ. 6. 7ძ.

აქაც საუბარია საჯარო ბიბლიოთეკის გახსნის ინიციატორზე და არა უბრალოდ წიგნების შემომწირველზე.

თუ კიდევ უფრო მეტ ლიტერატურას გავეცნობით, ანალოგიურ გამოთქმებს მრავლად ვნახავთ, მაგრამ ამის საჭიროება აღარაა, რადგანაც ხელთა გვაქვს თვით ბატონ ალექსანდრე ლორიას (ნ. გურგენიძის თანაავტორობითძ ცნობა, რომელშიც არაორაზროვნად ნათქვამია, რომ „1842 წელს **დ. ყიფიანის თაოსნობით** თბილისში დაარსდა საბიბლიოთეკო ამხანაგობა, რომელშიც შედიოდნენ: გრ. ორბელიანი. ნ. ბარათაშვილი. მ. თუმანიშვილი. ზ. ფალავანდიშვილი... და სხვ. (ჩამოთვლილია 14 პიროვნებაძ. **ამხანაგობის მთავარი ამოცანა იყო თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება.** შეიმუშავეს წესდება, აირჩიეს ხელმძღვანელები და 1843 წელს მათ მიერ შექმნილმა ბიბლიოთეკამ მუშაობა დაიწყო დ. ყიფიანის ბინაში“ (საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 1. თბილისი. 1997. გვ. 427ძ.

ამგვარად დ. ყიფიანის თაოსნობით დაარსდა ამხანაგობა, რომელშიც გაერთიანდნენ იმდროინდელი საქართველოს პოეზიის ჭეშმარიტი ვარსკვლავები; ამხანაგობამ მიზნად დაისახა საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება. შეიმუშავა წესდება, აირჩია ხელმძღვანელები: დასაწყისში დააარსეს საამხანაგო ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ საჯაროდ უნდა გარდაქმნილიყო.

ბატონო ალექსანდრე! ყოველივე ეს თქვენი სიტყვებიდან გაკეთებული დასკვნებია. თუ ენციკლოპედიაში გამოთქმულ თქვენს მოსაზრებებს უარყოფთ, ესეც უნდა გეთქვათ, თუ არა (და ამაში მე დარწმუნებული ვარძ, თქვენი მაშინდელი (1997 წ.ძ სიტყვები სულაც არ ნიშნავს, რომ დ. ყიფიანი მხოლოდ წიგნების შემომწირველია და „საჯარო ბიბლიოთეკისათვის სხვა არაფერი გაუკეთებია“. კი ბატონო, მან ბოლომდე ვერ განახორციელა თავისი მიზნები, ვერ გახდა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი (ალბათ მას ამისი სურვილი არც ჰქონდაძ, მაგრამ... თუ გ. ტოკარევს არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება, მაშინ დ. ყიფიანმა რაღა დააშავა? მან ხომ შეადგინა ამხანაგობა, შეიმუშავა წესდება, შექმნა საამხანაგო ბიბლიოთეკა – საჯარო ბიბლიოთეკის რაღაც ჩანასახი? ჩემზე მოძღვნილ „შენიშვნებში“ თქვენი ეს სიტყვები რატომ აღარ გაიმეორეთ? მხოლოდ იმიტომ, რომ „შენიშვნები შენიშვნებზე“ გაგემძაფრებინათ?

ჩემს წერილს, „გავრილ ტოკარევი თუ დიმიტრი ყიფიანი“, არავითარი ქვესათაური არ ჰქონდა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ გამონახა ქვესათაური, „წინაპრის დასაცავად“, რომელიც მე არ მეკუთვნის, თუმცა ოპონენტები ამას მე მომაწერენ, უფრო მეტიც, მიაჩნიათ, რომ მე თურმე დავაპირისპირე გ. ტოკარევი „დ. ყიფიანს და საჭიროა ამ უკანასკნელის დაცვა“. ღმერთმა დამიფაროს, რომ ამ ბუმბერაზ ადამიანს, ვისი სულის წინაშეც მუხლებზე იჩოქებდნენ დიდი ილია, დიდი აკაკი და სხვა სულმნათი ადამიანები, ჩემი დაცვა დასჭირდეს. ასეთი მიზანი არ მქონია და ვერც გავბედავდი ვილაც ტოკარევი უკვდავ კაცზე დამეპირისპირებინა. თქვენ კი, ბატონებო, იმის მაგივრად, რომ დაიცვათ ზომიერება და დამსახურებისამებრ მიუზღოთ, დიდ მოღვაწეს ჩრდილში აყენებთ და მართლაც თავგადაკლულად იცავთ გ. ტოკარევს. დაიცავით და ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ. ესარჩლებით ქალბატონ როქსანას, რომელსაც კალამი თქვენზე არანაკლებ უჭრის, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, პასუხსაც გამცემდა და ალბათ უფრო კორექტულიც იქნებოდა..

**მივმართავ ბატონ ალექსანდრე ლორიას (მეორე ავტორს არ ვიცნობ), ჩემი მასწავლებლის, უფროსი მეგობრისა და მწერლის პარმენ ლორიას ვაჟს: უცნობი ოპონენტები ჭიქაში ქარიშხლის ატეხვას არ იკისრებდნენ, ვერც გაბედავდნენ, თქვენ კი ეს გააკეთეთ მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად მიცნობდით და ისიც იცოდით, რომ ცუდს ვერაფერს გკადრებდით. ამ წერილში თუ რაიმე მწარე გამომივიდა, ეს თქვენს თავს დააბრალეთ.**

მეგობრებზე ასე არ წერენ, ჩემო ალექსანდრე.

**პატივისცემით,**

**რამაზ სურმანიძე.**

20 სექტემბერი. 2008 წ.

◎ პერიოდიკა

# პიკასოს საჩუქარი

## გამოვიდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ახალი, №22

**ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“** (რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე**ძ ახალი 22-ე ნომერი, ტრადიციულად, კვლავაც ყურადღებას იქცევს საინტერესო და მრავალფეროვანი მასალით.

ყურადღებას იქცევს პირველივე წერილი, ეს არის ნოველის სტილის ფრაგმენტი **„დაღლა – სიმართლის თქმისაგან ან შეღიმილება ვიიონური“ როსტომ ჩხეიძის** ახალი ბიოგრაფიული რომანიდან შიო არაგვისპირელზე, სახელწოდებით **„მზე და მწუხრი“.**

დრამატურგმა **გურამ ქართველიშვილმა,** აღიარებული **„ქაქუცა ჩოლოყაშვილის“** ავტორმა, ახალი პიესა **„ცერკოვნი ბუნტი“** დაწერა, რომელსაც ახმეტელის თეატრში რეჟისორი **გიორგი შალუტაშვილი** დგამს. **თამარ ღონღაძე** პიესის შესახებ ესაუბრება დრამატურგს, აგრეთვე, დიაკვან **ზურაბ ცხოვრებაძესა** და დეკანოზ **დავით შარაშენიძეს.** ცნობილია, რომ „ცერკოვნი ბუნტს“, როგორც რუსებმა უწოდეს, სათავეში ედგა ორი დიდი მამულიშვილი – უკვე წმინდანებად შერაცხული მეუფე დოსითეოზ ქუთათელი და მეუფე ექვთიმე გაენათელი. დრამატურგი ცდილობს, გააცოცხლოს გარდატეხის ეპოქა, რადგან მასში უკეთ ჩანს ადამიანის ხასიათიცა და ერის სახეც.

**ზაურ წაქაძე** დოკუმენტურ ნოველაში – **„ახალგაზრდა კომპოზიტორის კვალდაკვალ“** აცოცხლებს მოგონების იმ ეპიზოდებს, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ იმოგზაურა რეჟისორმა **გიორგი შენგელაიამ** მწერალ **ოთარ ჩხეიძესთან** ერთად ქართლში, როდესაც „ბორიაყის“ მიხედვით „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობას“ იღებდა.

ჟურნალის ამ ნომერში თანამედროვე პოეზია სამი სხვადასხვა ხელწერის პოეტის ლექსებითაა წარმოდგენილი. **ნუნუ ჯანელიძე** წერს სადად და გამჭვირვალედ. **ნინო დარბაისელის** ორ ლექსში განსხვავებული ინტონაციები გაისმის. **გიორგი კეკელიძის** ლექსები კი რთული ასოციაციური გადაძახილებით გამოირჩევა:

**„და გული სისხლის**
**წამდაუწუმ იხდიდა საბანს.**
**გაიმეორე, რომ ვარსკვლავებს**
**შენ თვითონ თესავ,**
**რომ ღამის ხნულით მოისვარე**
**წუხელ ფეხები“.**

თანამედროვე პროზა კი წარმოდგენილია ახალგაზრდა მწერლის **ლევან ლორიას** მოთხრობით – **„დუდუ“.** ყურადღებას იქცევს „აზრიანად“ მოლაპარაკე თუთიყუშისა და ყმაწვილის ლაღი მეგობრობის ამსახველი ანეკდოტური ამბების კოლაჟი.

ჟურნალი გვაცნობს ლიტერატურაში ნობელიის პრემიის ახალ ლაურეატს **ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიოს,** რომლის რამდენიმე ნაწარმოების თარგმანი უკვე დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ სხვადასხვა ნომერში.

ამ ნომერში გრძელდება პაპის **ბენედიქტე XVI-ის, იოზეფ რაცინგერის „ჩემი ცხოვრების“** ბეჭდვა.

**ნოდარ გურაბანიძე** განვლილ წუთებსა და წლებს იხსენებს წერილში – „სამყარო თეატრალის თვალით“.

ნოდარ გურაბანიძე იუმორით იხსენებს პიკასოსა და აკაკი ხორავას შეხვედრას პარიზში. პიკასოს ამ შეხვედრაზე სხვა მსახიობთა შორის მოულოდნელად და უცერემონიოდ თვალი დაუდგამს ახოვანი და გამორჩეული აკაკი ხორავასთვის და სწორედ მისთვის უჩუქებია თავისი ცნობილი გრაფიკული ნამუშევარი „დონ კიხოტი და სანჩო პანსა“, ხის ჩარჩოში ჩასმული ფაქსიმილური გამოცემა.




**ნუგზარ მუზაშვილი** წერილით **„ომიც ცხოვრებაა“** ეხმაურება გელა ჩქვანავას ვრცელ მოთხრობას „ტორეადორები“.

**იორამ ღუდუშაურს,** რომელსაც როსტომ ჩხეიძემ „მინდიას ანათალი“ უწოდა, კარგად იცნობს მკითხველი. ამჯერად **ეკა ბუჯიაშვილთან** საუბარში კიდევ ერთხელ წარმოჩნდება ამ ბუნების მესაიდუმლე კაცის ცხოვრება.

პოეტი **გივი ალხაზიშვილი** წერილით **„მაჩაბლის 13“ კვლავაც მწვავე თემას დასტრიალებს – ეს არის მწერალთა სასახლის ბედი.**

რედაქციის მინაწერში კი საგულისხმო რჩევაა, რომ ამჟამინდელმა ბუტაფორიულმა მწერალთა კავშირმა თავი გაუქმებულად გამოაცხადოს და გადაეწყოს კლუბურ ყაიდაზე.

ჟურნალის ამ ნომერში ახალ თარგმანებს შორის ყურადღებას იქცევს ამერიკელი პოეტების **ედუარდ ქამინგსისა** და **უოლტ უიტმენის ქარდუ ქარდუხისეული** და ძველი ბერძენი მწერლის **ქსენეფონტის „ნადიმის“ ქეთევან ჯერვალიძისეული** თარგმანები.

**მარიამ ლანდია.**

**სააქციო საზოგადოება „კაუკაზუს ენერჯი ენ ინფრასთრაქჩას“**

**12 დეკემბრის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მისამართის ცვლილება**

სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩას“ სამეთვალყურეო საბჭო იტყობინება, რომ სააქციო საზოგადოების **2008 წლის 12 დეკემბრის (11 საათი)** აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ნაცვლად ადრე გამოცხადებული მისამართისა გაიმართება: ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №13, სასტუმრო მერიოტი, თამარ მეფის დარბაზი.

ქ. თბილისი, 2008 წლის 21 ნოემბერი

ფეხბურთი

# კარპატებში ჩაკლული იმედი



**ბულგარელებთან ამასწინანდელი შესარჩევი შეხვედრის შემდეგ აკიაფებული იმედი „ჯვაროსნებმა“ რუმინეთში ჩაგვიკლეს.**

ისე, კაცმა რომ თქვას, შექმნილ ვითარებაში უკეთეს შედეგზე ფიქრი მართლაც რომ უსაფუძვლო იყო შემდეგ გარემოებათა გამო: ექტორ რაულ კუპერმა გუნდი სანახევროდ (11-დან 6 მოთამაშექ ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალთაგან დააკომპლექტა, მისი დონე კი, მოგეხსენებათ, რბილად რომ ვთქვათ, საშუალოზე გაცილებით დაბალია; ექსპერიმენტულ კონტინგენტს უკავშირდება მეორე მიზეზიც – ბიჭებს შეთამაშება აკლიათ. ეს განსაკუთრებით მარცვალაძესა და კანდელაკზე ითქმის, რომლებიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ ქვეყნის უმთავრეს გუნდს; და ბოლოს – თუ ტრადიციას გადავხედავთ, კარპატელებთან ბრძოლა და ღირსეულად გამკლავება უწინაც გვიჭირდა: აქამდე გამართული 5 მატჩიდან მხოლოდ ორში მივაღწიეთ ფრეს, სამი კი ბურთების კატასტროფული შეფარდებით დავთმეთ საერთო ანგარიშით 2:12 (!ძ. ჰოდა, რაღა ბუქარესტის „დინამოს“ სტადიონზე უნდა გაგვეტეხა ნავსი?



მოკლედ, არგენტინელი მწვრთნელის სადებიუტო სეზონი მარცხიანად დავასრულეთ – 1:2 (მასპინძელთა კარში გოლი მარცვალაძემ გაიტანაძ. იმედი ვიქონიოთ, რომ 11 თებერვლამდე, როცა „მუნდიალ-2010“-ის შესარჩევ ციკლს ირლანდიელებთან გასვლითი შეხვედრით განვაახლებთ, სენიორ კუპერი კიდევ ერთხელ დაუბრუნებს შეგირდებს საკუთარი ძალების რწმენას.

***გაეცანით ოთხშაბათს გამართული დანარჩენი ამხანაგური მატჩების შედეგებს:*** *გერმანია – ინგლისი 1:2, ესპანეთი – ჩილე 3:0, საფრანგეთი – ურუგვაი 0:0, უკრაინა – ნორვეგია 1:0, დანია – უელსი 0:1, საბერძნეთი – იტალია 1:1, ჰოლანდია – შვედეთი 3:1, შოტლანდია – არგენტინა 0:1, სერბეთი – ბულგარეთი 6:1, ავსტრია – თურქეთი 2:4, აზერბაიჯანი – ალბანეთი 1:1, კვიპროსი – ბელორუსია 2:1, ისრაელი – კოტ დივუარი 2:2, სლოვენია – ბოსნია 3:4, შვეიცარია – ფინეთი 1:0, ირლანდია – პოლონეთი 2:3, ჩერნოგორია – მაკედონია 2:1, ჩრდილოეთ ირლანდია – უნგრეთი 0:2, სამხრეთ აფრიკა – კამერუნი 3:2, მალტა – ისლანდია 0:1, მოლდოვა – ლიტვა 1:1, მაროკო – ზამბია 3:0, განა – ტუნისი 0:0.*



ოლიმპიზმი

# თუ მისიას ვერ შეასრულებს

**სტამბოლში ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების 37-ე ასამბლეა გაიმართება. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია. თურქეთში გამგზავრების წინ სეოკის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც მასმედიის წარმომადგენლებს აუწყა, რომ ქართული მხარე ასამბლეაზე მოითხოვს, რუსეთი აიძულონ, მედვედევ-სარკოზის შეთანხმების ყველა პუნქტი შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ, სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სხვაგან გადაიტანონ.**

გამს, ზამთრის ოლიმპიადის სხვაგან გადატანას. მით უმეტეს, რომ ავსტრიული ზალცბურგი და კორეული პიონჩანი მზად არიან, ოლიმპიადას უმასპინძლონ. სეოკის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ბოიკოტის მომხრე კი არ არის, არამედ, უსაფრთხოების მიზნით, მიიჩნევს, რომ თამაშებს მისამართი შეუცვალონ.

საგულისხმოა, რომ სეოკის მოსაზრებას მხარს უჭერენ საქართველოს სხვადასხვა თაობის ოლიმპიური ჩემპიონები,



2014 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორები ვერ აცნობიერებენ, რომ იმ ქალაქიდან, სადაც თამაშები უნდა გაიმართოს, სულ რაღაც 40 კილომეტრში არასტაბილური მდგომარეობაა და, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, 6 წელიწადში ეს პრობლემა მოგვარდეს, რადგანაც საქართველო აფხაზეთის ტერიტორიას ვერ აკონტროლებს, ცხადია, უსაფრთხოების გარანტიებსაც ვერ გასცემს. ყოველ პროვოკაციულ აქტზე რუსეთი საქართველოს დაადანაშაულებს, მაგრამ ამით საქმეს ეშველება?! რა თქმა უნდა, არა. სწორედ ამიტომაც მოითხოვს საქართველო, თუ რუსეთი შესაბამის ნაბიჯებს არ გადად-

რომლებიც ამის შესახებ ღია წერილით მიმართავენ სოკსა და ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტი და სეოკი თავიდან მხარს უჭერდნენ 2014 წლის ოლიმპიადის სოჭში გამართვას, მაგრამ აგვისტოს მოვლენებმა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ, მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა, ამდენად, საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ქვეყანაში ზამთრის თამაშების გამართვა თავის ისტორიულ მისიასაც ვერ შეასრულებს, ამიტომ უმჯობესია, იგი სხვა ქვეყანაში გადაიტანონ.

ჭადრაკი

# სატურნირო მდგომარეობა გაიუარესეს

**საქართველოს მოჭადრაკეებისთვის დრეზდენში მიმდინარე ოლიმპიადის VI დღე უიღბლო გამოდგა. ქალებმა 1,5:2,5 წააგეს პოლონელებთან, არადა, მაია ჩიბურდანიძესა და ლელა ჯავახიშვილს დებიუტში**



**ბევრად უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ. სამწუხაროდ, უპირატესობა ვერ გამოიყენეს:** მაია მეტოქეს დაუზავდა, ლელამ კი პარტია დათმო ისევე, როგორც მაია ლომინეიშვილმა. ნანა ძაგნიძემ ქულა შესძინა თავის გუნდს, თუმცა მარცხისგან მაინც ვერ იხსნა. ვაჟებმაც 1,5:2,5 წააგეს ჩინელებთან. „ჯვაროსანთაგან“ საბედისწერო პარტია ბაადურ ჯობავამ წააგო, ხოლო დანარჩენები ყაიმს დასჯერდნენ.

ექვსი ტურის შემდეგ ქალებში ჩინელები ლიდერობენ 12 ქულით. 10-10 ქულა მოაგროვეს რუსებმა, ჰოლანდიელებმა, უკრაინელებმა, ამერიკელებმა და პოლონელებმა. საქართველო 8 ქულით მეთხუთმეტეა.

ვაჟებში 11-11 ქულით რუსები და სომხები მეწინავეობენ. ქულით ნაკლები შვიდმა გუნდმა მოაგროვა. ჩვენს ვაჟებს 8 ქულით 25-ე ადგილი უკავიათ.

ინტერნეტიდან

## მატჩი მაინც გაიმართება

**კინაღამ ჩაიშალა თანამედროვეობის ორი განთქმული დიდოსტატის – ბულგარელი ვესელინ ტოპალოვისა და ამერიკელი გატა კამსკის მატჩი, რომლის გამარჯვებული უნდა შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონს ვიში ანანდს.**

გაამერიკელებული კამსკი კატეგორიული წინააღმდეგი იყო შეხვედრის სოფიაში გამართვისა, მაგრამ დრეზდენში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მხარეების მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან მატჩს მაინც ბულგარეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. მისი საპრიზო ფონდი 250 ათასი დოლარი იქნება. ის 16 თებერვალს დაიწყება და 28 თებერვლამდე გასტანს.

ამ მატჩში გამარჯვებულისა და ვიში ანანდის ორთაბრძოლა კი სავარაუდოდ 2009 წლის სექტემბერში გაიმართება.

## ხუთგზის ჩემპიონობა უნდა



**სახელგანთქმული ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივე, ერთ დროს ტაისონმა ყური რომ მოაჭამა, ევანდერ ჰოლიფილდი აპირებს რუსეთელ ნიკოლოზ ვალუევთან გამარჯვებით მეხუთედ გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. მათი ორთაბრძოლა 20 დეკემბერს ციურიხში უნდა გაიმართოს.**

46 წლის ამერიკელმა განაცხადა, რომ ის მშვენიერ ფორმაშია, რადგან ის კრივში უკვე 38 წელია, შეუძლია სწორი დასკვნების გამოტანა მეტოქეზე. იმათ გასაგონად კი, ვინც ფიქრობს, რომ მას აღარაფერი შეუძლია, აცხადებს, რომ სიურპრიზებს ელოდეთო.

35 წლის „რუსი გოლიათი“ ვალუევი კი თავის მხრივ ამბობს, რომ ლეგენდარულ მოკრივესთან მძიმე ბრძოლა მოელის, რისთვისაც ოპტიმალური ფიზიკური კონდიციების „აკრეფას“ აპირებს.

## ლამაზმანი — კეთილი ნების ელჩი

**ფეხბურთის მგზნებარე გულშემატკივარია პოპულარული ბრიტანელი მოდელი, 25 წლის ლამაზმანი, საქველმოქმედო ორგანიზაციის Kick 4 Life კეთილი ნების ელჩი ლიუსი პინდერი. ის ფეხბურთს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბესა და ავადმყოფობასთან ბრძოლისთვის იყენებს.**

აღსანიშნავია, რომ შესაშურმკერდიანი ლამაზმანი უარს ამბობდა მთლიანად გაშიშვლებაზე, მაგრამ ახლა თავისი თაყვანისმცემლების გასახარად ის გაშიშვლებულიც ხშირადაა.

ვინჩესტერელმა ქალიშვილმა მოდელის კარიერა ხუთი წლის წინათ დაიწყო. მას შემდეგ, რაც პრესაში პლაჟზე გადაღებული რამდენიმე პიკანტური ფოტო გამოჩნდა. შემდეგ მისი კარიერა აღმა წავიდა, თუმცა დიდხანს უარს ამბობდა კამერების წინ დედიშობილა გამოჩენაზე, მაგრამ შემდეგ მიშელ მარშთან ერთად დათანხმდა თავისი დიდებული მკერდის გამოჩენაზე. შემთხვევითი არაა, რომ სამშობლოში მას „დიდი ბრიტანეთის ყველაზე ნატურალურ მკერდოსნად“ მიიჩნევენ.



### კრიმინალი

# ვისთან მიდის წილი შსს-ში?

საპატრულო პოლიციის ფუნქციებს, როგორც ჩანს, ახალიც დაემატა. ეს არის შსს-ს „ვერხუშკის“ ბიზნესის ხელისშეწყობა.

გასული წლის მეორე ნახევარში, შსს-მ ტენდერი ჩაატარა. მიზანი საჯარიმო ავტოსადგომებზე გამარჯვებული ფირმის გამოვლენა იყო. თუ როგორ ტარდება ჩვენში ტენდერები, ყველასთვის ცხადია. თუ ნაციონალური მოძრაობის წევრი ხარ, ან მათ ლიდერებში ლობი გყავს გამარჯვება გარანტირებული გაქვს – აცხადებენ ტენდერში დამარცხებული ფირმების ხელძღვანელები. ისინი მიუთითებენ, რომ ტენდერები ყოველგვარი კონკურენციის, შეჯიბრებითობის, გამჭვირვალობის გარეშე ტარდება. ამის გამოა, რომ აზრი არა აქვს შედეგის გასაჩივრებას, სიმართლისთვის ბრძოლას.

ამ პრინციპით ჩატარდა კონკურსი საჯარიმო ავტოსადგომების მომწყობი ფირმების გამოსავლინებლად. კონკურსში გაიმარჯვა შპს „სერვის-ცენტრმა“. როგორც შემდგომ გაირკვა, აღნიშნულ ფირმას თავიდანვე ლობირებდა შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე ლევან გვაზავა. გადაწყდა, რომ ყველა დამტვრეული სატრანსპორტო სახეობა გვაზავას კუთვნილ ავტოსადგომზე უნდა გადაეყვანათ. მისმა ფირმამ ამ სფეროში ფაქტობრივად მონოპოლია მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მისი მდებარეობის ადგილად საგზაო პოლიციის ეზო განისაზღვრა.

ტენდერში „გამარჯვებულ“ ფირმაზე დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობა არა მხოლოდ საპატრულო პოლიციამ, არამედ მთელმა სისტემამ. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზიანებული მანქანები პოლიციელებს პირდაპირ გვაზავას სადგომზე მიჰყავთ, აქ შეჰყავთ არა მხოლოდ ავტოავარიებში დამტვრეული ტრანსპორტი, არამედ, ნასვამი, მართვის მოწმობის გარეშე გამოვლენილი მძღოლების მანქანები. ამ შემთხვევაში უფროსობის გულის მოსაგებად დატრიალებული პატრულები იმასაც აღარ ითვალისწინებდნენ, რომ კანონით ნასვამ, „უპრავო“ მძღოლს უფლება აქვს საჭესთან დასვას (თუ გვერდზე არა ჰყავს, გამოიძახოსძ, ფხიზელი, მართვის



მოწმობის მქონე ახლობელი. პოლიციელების ამგვარ ქმედებას ერთი ახსნა აქვს – მათ ზემდგომებიდან მკაცრი მითითება ჰქონდათ, დამრღვევი მძღოლის მანქანა აუცილებლად „სერვის ცენტრის“ სადგომზე გადაეყვანათ.

ფირმის ინტერესში შედის რაც შეიძლება მეტი ერთეული ტრანსპორტი მიიღოს, რადგანაც მხოლოდ საჯარიმო სადგომზე შეყვანისათვის მძღოლს 36 ლარს ახდევინებენ, იქ დგომისთვის ყოველდღე – დამატებით 6 ლარს.

მოქალაქეების გაფცქვნა ინტენსიურად გრძელდებოდა, ვიდრე გვაზავა შს მინისტრის მოადგილეობიდან არ გაანთავისუფლეს, თუმცა, მას არ დაუვიწყეს ხელისუფლების წინაშე დამსახურება და კერძო ბიზნესი დაუტოვეს.

დამსახურებაში გვაზავას ექსპერტები იმას უთვლიან, რომ მისმა კერძო დაცვის ფირმამ „გლადიატორმა“ აქტიური მონაწილეობა მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში (ცხადია, რა როლიც ეკისრებოდათ შავფორმიანებსძ, მცხეთაში კი საერთოდ თავზე ხელი აიღეს და ოპოზიციის დარბევასთან ერთად რამდენიმე საარჩევნო უბანიც დაარბიეს. დაუმტკიცებელი ინფორმაციით ანალოგიური სამსახური „ომეგაც“ მინისტრის ყოფილი მოადგილის დაქვემდებარებაშია.

ერთი შეხედვით, მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც გვაზავა სამსახურიდან გაუშვეს, ხოლო საპატრულო პოლიციის შეფს გოგა გრიგალაშვილს საჯარიმო სადგომების ლობირება ჟურნალისტებმა წამოაძახეს. ნათქვამით განრისხებულმა №1 „გაიშნიკმა“ საჯარიმო სადგომებზე მიყვანილი მანქანების დაჯარიმების ოქმებიც გამოითხოვა და მათი შესწავლა დაიწყო. გაირკვა, რომ ბევრი მძღოლი აბსურდული ბრალდებით იყო დასჯილი.

ამის შემდეგ შსს-მ „პრინციპულობა“ გამოიჩინა და სადგომების რაოდენობა შეამცირა, ანალიტიკოსთა განმარტებით, ეს მოჩვენებითი სიმკაცრე გამოდგა, რადგანაც, პროფესიონალთა განმარტებით, სადგომების შემცირება „სერვის ცენტრს“ აძლევდა ხელს. საქმე იმაშია, რომ სპეციალური ევაკუატორის მიერ ტრანსპორტის გადაყვანა თითოეულ კილომეტრზე 2 ლარი ღირს. ევაკუატორებიც „სერვის ცენტრის“ საკუთრებაა. დღეისთვის თბილისში ორი ავტოსადგომია (საპატრულო პოლიციის ეზოში და ვარკეთილის დასახლებაშიძ.

გვაზავას ფირმის ევაკუატორები დედაქალაქის ყველა უბანში არიან. ამის გამო შემთხვევის ადგილზე მათი დაუყოვნებლივი გამოჩენა პრობლემას აღარ წარმოადგენს. ევაკუატორის გარეშე (სხვა სატრანსპორტო საშუალებებითძ ავარიაში მოხვედრილი მანქანის გადაყვანა არარსებული კანონით ჯარიმას უქადის ორივე მანქანის მძღოლს.

როგორც კი პატრული ევაკუატორს გამოიძახებს, ის თამაშიდან გადის, მისი საქმე აღარ არის რამდენ ხანში გადაიყვანენ დამტვრეულ მანქანას საჯარიმოზე. სრული განუკითხაობის პირობებში პრივილეგირებული ფირმა მომსახურებისთვის საფასურს საკუთარი შეხედულებით ითხოვს.

როგორც ირკვევა, „სერვის ცენტრი“ სულ უფრო და უფრო აფართოებს თავის ქსელს. მას სადგომები აქვს მცხეთაში „ნატახტარის“ საი-ს ყოფილ საგუშაგოსთან, ზესტაფონში და ზუგდიდში. როგორც ჩანს, ფირმა „ძლიერთა ამაქვეყნისათა“ მხარდაჭერით ცდილობს სრული მონოპოლია მოიპოვოს ამ სფეროში არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ მთელს ქვეყანაში.

„ტენდერში გამარჯვებული“ ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გია ზავარდაშვილი აცხადებს, რომ მის ორგანიზაციას გვამების გადასატანი სპეციალური მანქანებიც ჰყავს. ისინი, როგორც შემთხვევის ადგილიდან გარდაცვლილთა, ასევე საავადმყოფოდანაც ახდენენ მიცვალებულთა გადაყვანას. ფირმის წარმომადგენლის განმარტებით ისინი ამ აქციას სრულიად უსასყიდლოდ ანხორციელებენ. თუმცა ჩვენ შევიტყვეთ, რომ მორგში გადასვენება ადგილზე მისული სასწრაფოს პრეროგატივაა. „ქველმოქმედი“ „სერვის ცენტრი“ კი ამაში სახელმწიფოსგან სოლიდურ გასამრჯელოს იღებს.

**ზაზა ბილიხოძე**

### ხსოვნა

# ვალმოხდილი ადამიანი



ქალბატონი თინა ვაწაძე!

ამ სახელის ხსენებაზე მის მეგობრებს, მოწაფეებს, კოლეგებს, ახლობლებს და ნათესავებს თვალწინ წარმოუდგებათ მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, მოკრძალებული, თავმდაბალი, დიდად განათლებული ქალბატონი, პროფესორი, აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილების გამგე, 200-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, 7 სადოქტორო და 12 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი.

ქალბატონ თინას საექიმო კარიერა სიცოცხლის ბოლომდე დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირში პირველ, აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტთან. ბატონი მიხეილი თავად არჩევდა კადრს და ამდენად აქ მოხვედრა მარტივი არ გახლდათ. მან სწორედ ამ მაღალი ტრადიციების მატარებელი ინსტიტუტის კედლებში აიდგა ფეხი და ჩამოყალიბდა ცნობილ ექიმად და მეცნიერად.

პროფესორი თინა ვაწაძე გახლდათ მეცნიერი, რომელსაც შეეძლო წარბშეუხრელად განუსაზღვრელი დრო დაეთმო ახალგაზრდა ექიმისა და მეცნიერისათვის, მოთმინებით მოესმინა მათი (შეიძლება მცდარიძ ნააზრევი; იქიდან ამოეღო რაციონალური, თუნდაც სულ მცირე მარცვალი, შეექო, მათი თავმოყვარეობა არ შეელახა და აზრის თავისუფლად გამოთქმის სურვილი არ ჩაეკლა. ამიტომ, იგი ახალგაზრდებისათვის იყო სასურველი მასწავლებელი და მეცნიერული ხელმძღვანელი, საინტერესო პიროვნება მეგობრებისა და კოლეგებისთვის.

თინა ვაწაძის ეს შინაგანი კულტურა შემთხვევითი არ იყო. მის ამ თვისებას განაპირობებდა მისი ბაბუის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლისა და მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვის პირადი ექიმის, გენერალ სპირიდონ ვაწაძის და მამის, 37 წელს რეპრესირებული დიდი ფიზიოლოგის გიორგი ვაწაძის გენი, რომელიც ქართულ კულტურასთან ერთად გამდიდრებული იყო გერმანიაში მიღებული განათლებით.

ქალბატონი თინა, საექიმო და მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, იყო მომფერებელი დედა, ბებია, დიდედა და დედამთილი. მისი დამსახურება იყო, რომ ამ ოჯახში არაჩვეულებრივად შეხმატკბილებულად ცხოვრობდა კეთილშობილ ადამიანთა 4 თაობა. მათი ურთიერთობა სამაგალითო იყო და არის ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის.

მართლმადიდებელი ადამიანის გარდაცვალებიდან მე-40 დღე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ამ დღეს ადამიანის სულის საბოლოოდ ტოვებს ამ ქვეყანას და უფლის სამკვიდრებელში ინაცვლებს.

21 ნოემბერი თინა ვაწაძის დაბადების დღეა. თითქოს სიმბოლურია, რომ ამა წლის 21 ნოემბერი მისი გარდაცვალების მე-40 დღეა და აქედან იწყება ქალბატონი თინას იმქვეყნიური ცხოვრება.

დღეს უფლის სამწყსოს კიდევ ერთი საოცრად სათნო, კეთილშობილი ქალბატონის თინა ვაწაძის სული მიემატება და ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ ისღა დაგვრჩენია ავუნთოთ სანთელი და შევთხოვოთ უფალს – „დაუმკვიდროს სასუფეველი სამოთხესა შინა“.

აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის
სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი.

---

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მხატვრის გურამ (ხიტაძ ქუთათელაძის მეუღლე, ქალბატონი

ირინა მამაცაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

ნიკოლაიშვილებისა და ნიკოლეიშვილების საგვარეულო კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება

გიორგი (ჟორაძ თეოდოტეს ძე ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას.

---

# ინფორმაცია აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს ჩოგბურთის კლუბი „ბათუმის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციაზე ერთ ლოტად, კერძოდ: ჩოგბურთის კორტების კომპლექსი, ადმინისტრაციული შენობა და სასტუმრო კომპლექსი (სარეგისტრაციო ზონა ბათუმი 05, სექტორი II, კოდი 02, კვარტლის №01, ნაკვეთის №001, მისამართი: ბათუმი, ზღვისპირა პარკი), საერთო სასარგებლო ფართი 8625,5 კვ.მ და მასზე მიმაგრებული 13907 კვ.მ მიწის ნაკვეთი, აგრეთვე, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი ინვენტარი.

აუქციონზე გამოტანილი ლოტის ღირებულებაა – 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი; ბიჯი – 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი; ბე – 2000000 (ორი მილიონი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 50 ლარია, ხოლო იურიდიული პირისთვის 100 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „თიბისი ბანკის“ ბათუმის ფილიალი; ბანკის კოდი: 220101835, ანგარიშის №81736020100468, საიდენტიფიკაციო კოდი №245435952.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ...აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2008 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით 10 სთ-დან 15 სთ-მდე (შპს ჩოგბურთის კლუბი „ბათუმის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მის.: ბათუმი, ზღვისპირა პარკი, შენობა № 1), აუქციონი გაიმართება 2008 წლის 21 დეკემბერს 16.00 საათზე შპს ჩოგბურთის კლუბ „ბათუმის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 895 33 17 74.

⊙ გამოხმაურება

# ამას ჰქვია, არა საქართველოს წინააღმდეგო?..

სახელმწიფოთა მმართველები გამონათქვამებითაც შესულან ისტორიაში. რომაელთა იმპერატორმა ნერონმა, აღსასრულის წინ წამოიძახა: „რა დიდი მსახიობი იღუპება!“ საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV-ს მიაწერენ ფრაზას: „სახელმწიფო – ეს მე ვარ“. ასევე ფრანგთა მეფემ ფრანცისკ I-მა მარადისობაში გადასვლამდე წარმოთქვა თურმე: „ამ ცხოვრებაში ყოველგვარ სასიამოვნო კამპანიასთან გიწევს განშორება“, ოღონდ... მწევართა ხროვას მიმართა... ნაპოლეონ ბონაპარტეს ეკუთვნის აფორიზმი – „დიდებიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია“...

რუსეთის აწინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა „საქმით“ უკვე დაიმკვიდრა ისტორიაში ადგილი, როცა მმართველობის დასაწყისშივე მოაწყო საქართველოს ნგრევა-დარბევა-აწიოკება (ახლა აქ არ მინდა ჩვენთა ხელისუფალთა წინდაუხედაობაზე, შეცდომებსა თუ დანაშაულზე ლაპარაკი). აგერ ამ დღეებში კი „საქმეს“ სიტყვაც (საისტორიო გამონათქვამი) მოაყოლა: ვაშინგტონში ყოფნისას მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა – ჩვენ ვუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ოღონდ უაფხაზეთოდა და უსამხრეთოსეთოდო. აი, ამ ფრაზითაც შეგრიალდება ისტორიაში, თუ, რასაკვირველია, შემდგომ არ გადაფარა ის უფრო მეტი ცინიკურობით.

არადა, უარესი ცინიზმი ძნელი წარმოსადგენია. რა ვქნათ ახლა, რა ვიფიქროთ – სამეგრელოს, აჭარისა და ჯავახეთის წართმევაც ჰქონდა ჩაფიქრებული და გვაპატია? დარჩენილი საქართველოს მთლიანობას გვაყვედრის? გასაკვირია, რომ არც ერთმა დასავლელმა ჩვენმა მეგობარმა ლიდერმა (წინწკლებში ხომ არ უნდა ჩამესვა მეგობარი?) არ შენიშნა – კი მაგრამ, დარჩენილ საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას რატომ სჭირდება აღიარება და მხარდაჭერაო?..

ეს კაცი (დიმიტრი მედვედევზე მოგახსენებთ) ჩამოყალიბებული ცინიკოსი რომაა, რუსეთის ფედერალური კრების წინაშე გამოსვლისასაც გამოჩნდა: „რუსეთელი სამხედროების (არმიის კი არა, სამხედროებისო! – **თ. ე.**) ჩატარებული ოპერაცია (ომი ოპერაციად შეარბილა! – **თ. ე.**) საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ კი არ ხორციელდებოდა, არამედ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მცხოვრებთა და რუსეთელ მშვიდობისმყოფელთა გადასარჩენადო“.

მასეთი სიმართლით გემართოს იმპერიული რუსეთი და გევლოს საზღვარგარეთ, დიმიტრი-ბატონო! თურმე საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ არ უბომბიათ ქალაქები, სოფლები, გზები, ხიდები, ტყეები (!), არ უკლეტიათ ქალები (ფეხმძიმენიც!) და ბავშვები, არ უძარცვიათ მოსახლეობა (უნიტაზების წაღებითაც!) და არ... არ... არ – მოუთვლელად.

ნეტავ კი შეიძლებოდეს ჩემგან, სრულიად რიგითი ქართველისაგან შენი, რუსეთის უმაღლესი პირის ეს უბრალო მხილება რუსულად მოგესმინა. საგულისყუროა, რას იტყოდი...

ვაჰ, ქვეყანას ჩემსა, რუსეთის პრეზიდენტო! რა ცუდ დროს ჩაგვარდა ხელადა...

**თამაზ ეზანოიძე**

⊙ ფოტოფაქტი



ზლატაუსტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ჩელიაბინსკის ოლქი) მიაგნეს უნიკალურ ექსპონატს – ნიკოლოზ II-ის პირად ფოტოალბომს. მასში 200-ზე მეტი ფოტოსურათია მეფის კერძო ცხოვრებიდან.

⊙ მადლობა

**გულითადი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ საზოგადოების ყველა იმ წევრის მიმართ, რომელმაც პატივი დაგვდო და გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება დავით გოცაძის გარდაცვალების გამო.**

**დავით გოცაძისა და რეზო გაგუას ოჯახები.**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

⊙ ანეკდოტები

ეგვიპტისა და თურქეთის ხელისუფლება მოითხოვს, რომ რუსმა ტურისტებმა საზღვარგარეთის პასპორტისთვის სურათი მთვრალებმა გადაიღონ.

* * *

რით განსხვავდება შეყვარება სიყვარულისგან?

– შეყვარებისას ნაკლოვანებებს ვერ ამჩნევ, სიყვარული კი ის არის, როდესაც ღირსებებს აფასებ.



* * *

მრავალსართულიანი კორპუსი წყლით დაიტბორა. დასველებული მცხოვრებნი ქუჩაში გამორბიან.

– რისი გეშინიათ ახლა ყველაზე მეტად? – ეკითხება ჟურნალისტი ერთ-ერთ მათგანს.

– არ ვიცი. იმის თქმაღა შემიძლია, რომ ის, რისიც ამჟამად ყველაზე ნაკლებაც გვეშინია, არის ხანძარი.

* * *

სიბრძნე: ლატარიაში მსხვილი მოგების ალბათობა მუდამ ერთნაირია და სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, იყიდეთ ლატარიის ბილეთი თუ არა.

* * *

– იქნებ ამიხსნათ, – ეუბნება სიდედრი სიძეს, – რატომ მთავრდება ყველა ზღაპარი, რომელთაც საღამოობით ჩემს შვილიშვილს უყვებით, ერთნაირად: „ისინი დაქორწინდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ, რადგან პატარძალი დედით ობოლი იყო?“

⊙ გვიმრავლოს!

## საჭილაოში დიდი სახალხო ზეიმი მოეწყობა



*23 ნოემბერს აბაშის რაიონის სოფელ საჭილაოში (პირველი მაისი) იხსნება წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.*

*რაიონის მრევლს კიდევ ერთი ღვთის სახლი შეემატა. გილოცავთ!*



⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: 2008 წლის დეკემბერში ვხდები 65 წლის, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მხოლოდ 12 წლის შრომის სტაჟი გამაჩნია. მომცემენ პენსიას?**

**კოტე ძიძიგური**

**პასუხი:** 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონის თანახმად, ასაკის გამო პენსიის მინიმალური ოდენობით დასანიშნად შრომის სტაჟი საჭირო არ არის. ასაკის შესრულების შემდეგ, პენსიის დასანიშნად მიმართვის დღიდან 70 ლარი ყველა შემთხვევაში უნდა მოგეცეთ.

* * *

**კითხვა: იქნებ მაცნობოთ, პენსია, რომელსაც ახლა თვეში 80 ლარის ოდენობით ვიღებ, კერძო სტრუქტურაში მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში ხომ არ შემიწყდება?**

**ნინელი კობერიძე**

**პასუხი:** არ შეგიწყდებათ. პენსიის გაცემის წესში არავითარი ცვლილება არ შესულა, ამიტომ მომატებული პენსიის გაცემა მუშაობის პერიოდში გაგიგრძელდებათ.

* * *

**კითხვა: 5 თვეა გავხდი საპენსიო ასაკის, მაგრამ პენსიის დასანიშნად დღემდე ვერ მივმართე. ამჟამად შევიტანე განცხადება და პირადობის მოწმობა. ამინაზღაურდება 5 თვის განმავლობაში მიუღებელი თანხა?**

**ნემო ჯღუნიაშვილი**

**პასუხი:** სამწუხაროდ, არ აგინაზღაურდებათ, ვინაიდან, მოქმედი კანონის თანახმად, პენსიის დანიშვნა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, ადგილობრივ სამსახურში განცხადებისა და საჭირო საბუთების შეტანის დღიდან არის გათვალისწინებული.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

⊙ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.